ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 49 (112) 12 იანვარი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი



"ეჩხა"

3

დავით ქობალია

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

"ბენფიკა" ლისაბონი, პორტუგალია,

12

რუსეთმა, შესაძლოა, ენერგეტიკული ბრძოლის ფინალი მოიგოს

3

2 ვაი შენ, ჩემო თავო!!!

როლანდ ჯალაღანია



9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

სამეგრელოს ღირსეული შვილები

5

მიხეილ კვესელავა

ვაი შენ, ჩემო თავო!!!

თითქმის ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ გულისტკივილით აღნიშნა თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში, თუ როგორ შეხვდა თავის მოხუც პედაგოგს, რომელიც სამოწყალოდ ქუჩაში ძველმანებს ჰყიდდა, რათა კაპიკები ეშოვნა ობლად დარჩენილი შვილისშვილების გამოსაკვებად. წლები წლებს მიემატა და მეც უკვე სიბერის კარს მივუკაკუნე. როგორც იტყვიან: შრომასა და ჭაპანწყვეტაში გაილია წუთისოფელი. ქვეყანაში კი სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა – თუ რამ შერჩათ, კვლავ ძველმანებს ჰყიდიან მოხუცებული ადამიანები, რათა კიდევ ერთი შიმშილიანი დღე როგორმე გადააგორონ, ახალგაზრდობა კი ხელ-ერთპირად გაკრეფილა საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვრად. დარდმა დარია ხალხს ხელი, ქუჩაში იშვიათად თუ წააწყდები მომღიმარ ადამიანს და თუ ვინმე იღიმება, ისიც რაღაც მანქანებით არის დაკავშირებული მთავრობასთან ან ფულიან ხალხთან. ხელისუფლება კი ძველებური რიხით აგრძელებს ტრაბახს ქართველი ხალხისათვის ახლო მომავალში ბედნიერი ცხოვრებით უზრუნველყოფის თაობაზე. როგორც იტყვიან, ენას ძვალი არ გააჩნია და ჩვენც ყური შევაჩვიეთ გამაძღარ-გაქსუებული და ნარკოტიკებით გაბრუებული ხელისუფლის როყიო შეპირებას. რეალობა კი სულ სხვაა...

ამას წინათ გარდაიცვალა ჩემი ყოფილი თანამშრომელი გამომცემლობა **"ხელოვნებიდან"**, შესანიშნავი ბანოვანი და მეოჯახე, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი განათლებული ქალბატონი, საქართველოში ცნობილი ხელოვნებათმცოდნე. ბედის უკუღმართობამ იგი მარტოდ-მარტო შეატოვა ამ პირგამეხებულ და დაუნდობელ წუთისოფელს, რამაც სათუთად აღზრდილი სიფრიფანა მოხუცი ქალი აიძულა, რომ პროტექციით ქუთაისის უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში ეპოვა უკანასკნელი ნავსაყუდელი.

ახლა, როცა საქართველოში გამომცემლობა ძველი ძალით აღარ ფუნქციონირებს (გარდა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ფავორში მყოფი გამომცემლობებისა, რომლებიც თუნდაც სასკოლო სახელმძღვანელოების ექსკლუზიური გამოცემის უფლების მოპოვების წყალობით შოულობენ დიდძალ ფულს), თანამშრომლებს მაინც ემძიმებათ ერთმანეთთან განშორება და ურთიერთობებს არ ჰკარგავენ. ერთხელ კი იმდენი მოახერხეს, რომ მწირ თანხებს თავი მოუყარეს, სურსათსანოვაგე შეიძინეს და ქუთაისის უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში თანამშრომლის სანახავად გაემგზავრნენ. თავშესაფარში რომ მივიდნენ, იქაურმა თანამშრომლებმა სანოვაგის შეტანაზე კატეგორიული უარი განუცხადეს.

– რატომ? – შეწუხდნენ თბილისიდან ჩასულები.

– იმიტომ, რომ, როცა სხვა მოხუცები გაიგებენ, საჭმელი აქვსო, წართმევას დაუპირებენ და თუ მან წინააღმდეგობა გაუწია, სასტიკად გალახავენ. ამიტომ, სჯობს ფული დაუტოვოთ, ჩვენ შევუძენთ საჭმელს და ჩუმად ვაჭმევთო.

შეწუხდნენ მნახველები, ჯიბეები მოიჩხრიკეს, უკან დასაბრუნებელი ბილეთების თანხის გარდა ყველა თანხა მომვლელს დაუტოვეს და გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ თბილისში. ამის შემდეგ, მალე უმწეო ქალბატონი გარდაიცვალა. საშინლად გვეტკინა გული, მაგრამ თავი იმით ვინუგეშეთ, რომ ადამიანმა ამ ქვეყნის ამაოებისაგან დაისვენა და გადავიდა იმ სამყაროში, სადაც არც შიმშილია, არც სიცრუე და არც მოშურნეთა ყარყაში.

გვიან კიდევ ერთხელ გავიაზრეთ, თუ რა უბედურება ტრიალებს ქვეყანაში, რადგან ადამიანებმა სახე დაჰკარგეს და შიმშილმა და წყურვილმა წონასწორობიდან გამოიყვანა ისინიც კი, რომლებიც ერთ დროს საზოგადოებრივ აზრს ქმნიდნენ ქვეყანაში.

განა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე პავლე გილაშვილი შიმშილით არ მოკვდა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!). და ეს მაშინ, როცა თითქოს მის მაგალითზე **"გაზრდილი"** დღევანდელი ნეობოლშევიკები და მათი თავკაცი ედუარდ შევარდნაძე მილიონებს ეთამაშებიან.

როგორც ამბობენ, ერთი ხისაგან ადამიანის სასიკეთოდ საცხოვრებელი სახლი შეიძლება აიგოს, მაგრამ იგივე ხისაგან კომბლისა და ისრის გამოთლაც შეიძლება, რათა სხვას სიცოცხლე მოუსწრაფო.

ჩვენი ხელისუფალი სახლს სხვებისათვის აშენებს, კომბალსა და ისარს კი ქართველი ერის დასათრგუნად თლის...

სულ რამდენიმე სიტყვით, შესანიშნავად აღწერა ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა სოსო ჯაჭვლიანმა დღეს ქვეყანაში არსებული განუკითხაობა და სისასტიკე: **"ცხოველი მაშინ ნადირობს, როცა შია. ღირსება უმეტესობაში ჩამკვდარია. ეტყობა, ხალხს უნდა მოშივდეს, რომ ესენი** (იგულისხმება ხელისუფლება) **გარეკოსო"**.

მაშინ, როცა ხელისუფლების მთავარ საზრუნავს ადამიანი უნდა წარმოადგენდეს, სააკაშვილის ხელისუფლება ფიქრობს ყველაფერზე: საახალწლო ზეიმების პომპეზურად ჩატარებაზე, გზების გაყვანაზე, შადრევნების მოწყობაზე, ახალი სასტუმროების გახსნაზე, სპორტული მოედნების აშენებაზე, სხვა ინფრასტრუქტურების განვითარებაზე...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქე მშიერი არ იძინებს უსახსრობის გამო, და არა იქ, სადაც ლამის ყოველ დღე ადამიანი თავს იკლავს უსასოობის გამო, სადაც ხელისუფლებისაგან **"ჩარეცხილებად"** მოხსენიებული ინტელიგენცია ღამით გამოდის ნაგვის ბუნკერების მოსაჩხრეკად, რადგან დღისით ამ გზით თავის რჩენა სამარაცხვინო საქმედ მიაჩნიათ, არა იმ ქვეყანაში, სადაც ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ კატეგორიულად იგნორირებული, მათ მიერვე შედგენილი კანონმდებლობა და სადაც, რუსული ხატოვანი თქმისა არ იყოს **"Прав не тот, кто прав, а у кого больше прав"**...

როცა ხელისუფლების მთავარ საზრუნავს მხოლოდ საქართველოს მომავალი თაობის გარყვნა, სულიერი, მორალური და ხორციელი დეზორიენტაცია წარმოადგენს (თუნდაც ის რად ღირს, რომ ტრადიციულ თოვლის ბაბუა **"არატრადიციული"** სანტა-კლაუსით შეუცვალეს, ხოლო ახალ წელს, ყოველივე უბედურების სათავე, ტელეარხი **"რუსთავი-2"** სისტემატურად ატრიალებს სარეკლამო რგოლს სანტა-კლაუსისა და ფიფქიას სექსუალური აღტკინების მინიშნებით), როცა ქვეყანაში სოდომისა და გომორას შეცოდებანი მძლავრობენ, რომელ მომავალ უზრუნველ და ბედნიერ ცხოვრებაზე შეიძლება საუბარი?

სწორედ აქ ისმის საკრალური შეკითხვა: შე დალოცვილო, მაშინ ვიღას უშენებ ყოველივე ამას, როცა შენი თანამოქალაქეების დიდი ნაწილი ქვეყნიდან ლუკმა-პურის საძებრადაა გადახვეწილი, და როცა აქ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი, იგივე ლუკმა-პურისათვის, ერთმანეთს გამეტებით ურტყავს?

განა სწორედ ეს არ გახლავთ რეალიზაცია სომეხთათვის საუკუნო ოცნებად ქცეული თეზისა: **"საქართველო ქართველების გარეშე"**?

განა სომხების მზაკვრული ქმედებების შედეგი არ არის, რომ საქართველომ დაჰკარგა თავისი ერთ-ერთი ძირძველი კუთხე – აფხაზეთი? გაიხსენეთ სომეხთა პატრიარქი ვაზგენ მეორე, რომელიც საჩუქრად აძლევდა 5.000 მანეთს ყოველ იმ სომეხს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე დასახლდებოდა? მოდიოდნენ და მოდიოდნენ სომხები, და როცა სოჭის მოდამოებში აღარ დაეტიენ, მერე აფხაზეთში დასახლდნენ. და წამსვე ამუშავდა სომხური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც შეცდომაში შეყვანილ აფხაზებს **არწმუნებდნენ: "ქართველებს შეუჭამიხართ ყველანი, თქვენ რომ საქართველოსაგან გამოიყოთ და ისე იცხოვროთ, თქვენზე ბედნიერი ხალხი დედამიწის ზურგზე არ იქნებაო"**. დაარწმუნეს და არა მგონია, აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტამ ბევრი სასიკეთო რამ შესძინა ამ კუთხეს.

განა სწორედ სომხური პროგრამა არ ითვალისწინებს იმას, რომ საქართველო მუდამ მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს რუსეთთან. იმ რუსეთთან, რომელსაც წამის უმალ ძალუძს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

თავი გავანებოთ იმ ვერაგობას, რაც ედუარდ შევარდნაძემ ჩაიდინა იმისათვის, რომ აფხაზეთიდან ქართველები გამოედევნათ სეპარატისტებს?

მაშინ რა პასუხი გავცეთ იქ დაღუპულ თანამოქალაქეთა სულებს, რომლებიც უფლის სამართლის აღსულებას დღესაც ელოდებიან?

რატომ ერთხელ მაინც არ გვინდა ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში. რა, თუ პრობლემას არ დავინახავთ, ნიშნავს ეს ამ პრობლემის არარსებობას?

"ნეტარ არიან მორწმუნენი" – გვმოძღვრავს სახარება, მაგრამ ამ სიტყვებში იგულისხმება ღვთის სიტყვისადმი რწმენა და არა ღვთის პირიდან გავარდნილების უაზრო შეპირებათა დაჯერება. თორემ, მალე, ცხელ ტაფაზე დაგდებული ღორის ქონივით შემოგვადნება ხელში საქართველო და მერე ამათი გაყვანილი გზებიც ოხრად დაგვრჩება, ტურისტული ბაზებიც და სპორტული მოედნებიც!

ახლა მაინც თუ ხედებით, ჩემო ძვირფასებო, რატომ მოკლეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა მისი ტრადიციებისა და ღირსების დამცველი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია?

იმიტომ, რომ ზვიადი ატლანტივით იყო შემდგარი საქართველოს სულიერებას და ჯოხით ერეკებოდა საქართველოდან ყოველივე სიმახინჯეს.

აჰავი, რომ საქართველოს დამაქცევრებმა სწორედ ეს მძლავრი ბურჯი გამოაცალეს საქართველოს და იგი გადამთიელთა საჯიჯგნად აქციეს.

როდემდე ვეყოფით ამ უბედურებას?

თუ დროზე არ მივხედეთ საკუთარ თავსა და ქვეყანას, ალბათ ზვიად გამსახურდიას ტიტულების ჩამონათვალში სიტყვა **"ჯერჯერობით"** გაქრება და მივიღებთ საქართველოს უკანასკნელ კანონიერ პრეზიდენტს. იმიტომ, რომ, შემდეგ, ალბათ, აღარც საქართველო იქნება და აღარც მისი პრეზიდენტი!

სწორედ ეს გახლავთ საახალწლო სახელისუფლო მოლოცვა, ფარული, შენიღბული, მაგრამ მაინც აშკარა და თვალსაჩინო!

როლანდ ჯალაღანია

„ღორის გრიპის" გავრცელება ზამთარშია მოსალოდნელი

საქართველოში გასულ წელს ღორის გრიპით დაავადების ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. დაიღუპა 20-მდე ადამიანი.

ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, ბევრად მძიმე ვითარებაა უკრაინაში. ღორის გრიპი უკრაინაში საგანგაშო მასშტაბებს აღწევს. ეპიდემიის გავრცელების გამო უკრაინის ცხრა რეგიონში კარანტინი გამოცხადდა, ქვეყანაში აიკრძალა მასობრივი (მათ შორის წინასაარჩევნო) ღონისძიებების ჩატარება. ტაძრების წინამძღვრებს კი სთხოვეს, საკვირაო და სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე მრევლი არ შეკრიბოს.

მეზობელ რუსეთშიც **„ღორის გრიპმა"** რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ჯერჯერობით რუსეთში ღორის გრიპის 1100 შემთხვევა დაფიქსირდა.

პირველი მასშტაბური და მომაკვდინებელი გრიპის პანდემია მსოფლიოში 1918 წელს დაიწყო. ამ გრიპს მსოფლიო **„ისპანკას"** სახელწოდებით იცნობს (ფიქრობდნენ, რომ ეს ვირუსი ესპანეთში **„დაიბადა"**). ეპიდემია 1922 წლამდე გაგრძელდა და 4 წელიწადში 20 მლნ კაცი იმსხვერპლა. 1957 წელს პლანეტა მორიგმა მომაკვდინებელმა **„ჰონკონგის გრიპმა"** შეძრა, რომელმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

A(H1N1) გრიპის სიმპტომები ადამიანში ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის ინფექციისა. დაავადების ნიშნებია: თავის ტკივილი, სხეულში მტვრევის შეგრძნება, კანკალი, სისველე ცხვირში, ყელის ტკივილი, ხველა, ცხელება, ორგანიზმის დასუსტება. ზოგიერთ პაციენტებში ვლინდება დიარეა და ღებინება. დაავადების დამძიმების შემთხვევაში, ყალიბდება პნევმონია, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილი. ამ საკითხთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდემიური ზედამხედველობის სამსახურის უფროსს **ხათუნა ზახაშვილს** ვესაუბრეთ.

მისი თქმით: **„ეს არის პანდემიური გრიპი და არასწორია, როდესაც მას ღორის გრიპის სახელით მოიხსენიებენ, ღორი, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაშია".**

ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალებაა პანდემიისგან დასაცავად. პანდემიური გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო რამდენიმე პრეპარატი არსებობს. ესენია: **„ტამიფლუ"** და **„ზანამივირი". „ტამიფლუ"** ეფექტურ პრეპარატად ითვლება გრიპის წინააღმდეგ.

"ჩვენ ორივე პრეპარატი მომარაგებული გვაქვს და ქვეყანა, ამ მხრივ, მზადაა. იმედია, რომ გრიპს გადავიტანთ," – განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა.

ალექსანდრე აკობია

მეგობრები გვილოცავენ

გაზეთ **„ილორი"**-ს რედაქციას, საქველმოქმედო ფონდ **„Elisabethal"**-ს, ბატონებს **როლანდ ჯალაღანიას და დავით ქობალიას** – უღრმესი მადლობა ყურადღებისათვის და შობის დღესასწაულის მოლოცვისათვის!

გასული წელი მეტად საინტერესო იყო ჩვენთვის ქართველ სტუდენტებთან სასწავლო გაცვლითი პროგრამით მუშაობის მხრივ. გულითადად მივესალმებით ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში **„მრეწველობისა და ეკონომიკის გერმანულენოვანი ფაკულტეტის"** გახსნას, რაც დიდად სასიხარულოა ჩვენთვის, იგი მომავალი წლიდან პირდაპირ ჩაერთვება ჩვენს პროგრამაში და გერმანიაში სტაჟირებაზე წასაყვანი სტუდენტების გარკვეული რაოდენობა სწორედ ამ ფაკულტეტიდან შეირჩევა. **„ზდუ"**-ს ჩვენ განვიხილავთ, როგორც **„ჰაიდენჰაიმის დუალური უნივერსიტეტის"** ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ პარტნიორს საქართველოდან.

ვსარგებლობთ შემთხვევით და **„ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის"** პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, პირადად ბ-ნ რუდიგერ ანდრესენს, თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს გვინდა მოგილოცოთ დამდეგი მართლმადიდებლური შობა-ახალი წლის დღესასწაული და გისურვოთ წარმატებები თქვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის ბრძოლის გზაზე!

ბადენ ვურტენბერგის-ჰაიდენჰეიმის
დუალური უნივერსიტეტის პრორექტორი
პროფ. დოქტორი **ანდრეას მარი**
უნივერსიტეტის პროფ. დოქტორი **კლაუს საკოვსკი**
უნივერსიტეტის კოორდინატორი **ბრიგიტე ილგი**

“კ უ ჩ ხ ა“

„კუჩხა“ – სამეგრელოსა და სამურზაყანოში მამაპაპისეულ ეზო-კართან, მტერ-მოყვარესთან, წინაპართა საფლავებთან, ოდაბადესთან, ბავშვობასთან, მეგობრებთან და მეზობლებთან (და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ რამესთან და ვინმესთან!..) დაკავშირებული ქართული ეროვნულ-რელიგიური დღესასწაულია.

გასული აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ, საშინელი საინფორმაციო გრიგალიც დაგვატყდა თავს, საკუთარ ყოფას რომ გვიმძიმებდა...

ზოგან ისეთ რამესაც მოვისმენდით, ყურს არ ვუჯერებდით – **„ჩვენ რა გვიჭირს, ისინი ნახეთ რა დღეში არიანო!..“** თითქოს – **“სხვის თავს დატეხილი ჩვენზე მეტი უბედურება”** ჩვენ რაიმეს გვიმსუბუქებდეს...

ლტოლვილებს საბანკო-საფინანსო სტრუქტურებთან რა საერთო გაგვაჩნია, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც გვიწევს **“სახალხო ბანკში”** მისვლა დახმარების (თუ ამას დახმარება ჰქვია) მისაღებად. იქ ვხვდებით ახალი და ძველი ნაცნობები, ახალი და ძველი მეზობლები ერთმანეთს. რას არ გაიგონებს იქ ადამიანის ყური, ჭორი და მართალი ძნელი გასარჩევია... ჩვიდმეტი წელი რას არ მიეჩვევა ადამიანი, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში გაგონილი ამბავი მაინც მძიმედ მომხვდა გულზე.

თურმე ვიღაცას ზუსტად დაუთვლია რამდენი ქართველი, აფხაზი და სომეხი დარჩა აფხაზეთში მას შემდეგ, რაც იქიდან ძირძველი მაცხოვრებლები გადმორეკეს. ტანსრული, ალბათ ბაზრობებში ვაჭრობით ხმადაბოხებული ქალი-**“ინფორმატორი”** ხმამაღლა ყვებოდა, რომ **„...აფხაზეთში, ჩვენ, ქართველები 40 ათასი ვართ, აფხაზები 60 და სომხები 80 ათასი არიან დარჩენილი. ჩვენ თუ მხარი არ დავუჭირეთ, მომავალ არჩევნებზე, აფხაზებს დედა ეტირებათ, სომხები მოვლენ მთავრობაშიო!..“**

მიუხედავად თავსდატეხილი ეროვნული უბედურებისა, ჩვენს ოჯახს, სოფელი მაინც არ მიუტოვებია აფხაზეთში. ჩემი მეუღლე დარჩა იქ ორ ბავშვთან ერთად, ორი შვილი კი თბილისში მყავს წამოყვანილი. უმცროსი ბავშვი ასთმით არის ავად, იქ მისი მოვლა-მკურნალობა ძნელია, თორემ იქაურობას არც ჩვენ დავტოვებდით. მონაცვლეობით ჩავდივართ მე – **„ოდაბადეს“**, ის კი **„დედაქალაქში“**.

არ ვაპირებდი საახალწლოდ აფხაზეთში ჩასვლას, მაგრამ **“სახალხო ბანკში”** მოსული არამკითხე ინფორმატორის **„სასიხარულო“** განცხადებამ აფხაზების არჩევნებში მოსალოდნელი **„დედის ტირების შესახებ“** არ დამაყენა და მეუღლეს შევუთვალე – მალე აფხაზეთში აუცილებლად უნდა ჩამოვიდე-მეთქი!

მთელი დღეები, ჩემი ბავშვობის დროინდელი **„კუჩხა დილაუთენია“** მედგა თვალწინ: – ბაბუაჩემი, ოჯახის ყველაზე პატარა წევრთან ერთად **„ქუჩუჩით“**, საკუთარ ეზოში მოწეული ღვინით სავსე სველი დოქით, თეფშზე დაყრილი ხურდაფულგარეული ღერღილით ხელში, როგორ ამოიღებდა ჭიდან წყალს, ხელპირს დაიბანდა, ლოცვა-ლოცვით შემოივლიდა ეზო კარს, სასიმინდეს, ბოსელს, საღორეს, საქათმეს, ღერღილს მიაფრქვევდა ყველგან და სახლის კარებს მოადგებოდა კაკუნით. სამჯერ შესძახებდა: **„კარი გომინჯი“!** იქიდანაც სამჯერ შემოეხმიანებოდნენ **„მუ მოიღუ!“** და მომლოცველიც სამჯერ ჩამოთვლიდა: **„სიკეთე, ადამიანის, საქონლის და ფრინველის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების ჯანმრთელობა, გახარება და მშვიდობა!..“**

ერთი სული მქონდა როდის ჩავიდოდი ტყვარჩელში, როდის დავუვლიდი ყველა მეზობელს, განაწყენებულს თუ კეთილგანწყობილს და ვთხოვდი: **ჩემო დებო და ძმებო, დედებო და მამებო, შვილებო – მივუტევოთ და მოვეფეროთ ერთმანეთს, თორემ ჩვენი საერთო მტერი ყველგან დაგვყვება და დაგვცინის – თბილისში, სოხუმში, ტყვარჩელში, ზუგდიდში, მოსკოვში, ევროპასა და ამერიკაში... დავივიწყოთ ყველაფერი, მტერს ნუ გავახარებთ!..**

13 იანვარს, ენგურის ხიდზე შევნიშნე, პასპორტი დამრჩენოდა სახლში. მხოლოდ სამსახურის საბუთი მქონდა თან რომ ელსადგურის ლაბორატორიაში ვმუშაობდი. შეწუხებულმა ავტობუსის მძღოლს გავანდე ჩემი გასაჭირი. **„დარდი ნუ გაქვს, მანქანაში დარჩი, არაფერს გეტყვიან და ისე გაგიყვანო“**. არ მომეწონა მისი თავდაჯერებულობა, მაგრამ მაინც სიტყვას დავყევი და ავტობუსში დავრჩი.

რუსი სამხედროები და მებაჟეების ხმაური იდგა გარეთ. ერთი, მომცრო ტანის სამხედროფორმიანი, გაღიზიანებული ულრენდა ისედაც დაშინებულ ქალებს და მოხუცებს. ეტყობოდა რომ აფხაზი იყო...

რუსებმა შეამოწმეს ქვემოთ ჩასულები. ავტობუსის სალონში რომ მნახეს, მიყვირეს – რატომ არ ჩამოდიხარ, არ გეკადრებაო?!.

– ინვალიდი ვარ, სიარული მიჭირს მეთქი! – რუსებს არაფერი უთქვამთ, ალბათ შევეცოდე, მაგრამ ავტობუსში ის აფხაზი შემოვარდა ლანძღვა-გინებით:

„გაეთრიე აქედან, შენმა ქართველებმა გიმკურნალონ! ყველანი გაეთრიეთ ჩვენი მიწიდან! აქ თქვენი ადგილი აღარ არის! უფლება რომ მქონდეს ყველას ერთიანად კედელთან მიგაყენებდით და დაგხვრეტდითო!“

მომხდარით გაოგნებულს, თვალწინ ახალი წლის წინა დღეები და **“სახალხო ბანკის”** რიგში დაუპატიჟებლად მოსული გამამლაყინწებული ქალბატონი-აგიტატორი დამიდგა, ყველას გასაგონად რომ ყვებოდა: **„ჩვენ რა გვიჭირს, თუ გვერდში არ დავუდექით, აფხაზებს დედა ეტირებათო!..“**

დიდხანს იჯერა გული ჩვენი ლანძღვა–გინებით **სახალხობანკელი აგიტატორის აფხაზმა „სულიერმა ძმამ“**. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

***

14 იანვრის **„კუჩხა“** დილას სამჯერ დააკაკუნა მეკვლემ კარებზე, სამჯერ შევაგებეთ - რა მოგაქვსო! სამჯერ გვისურვა ყველაფერთან ერთად:

„სიკეთე, ადამიანის და საქონლის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა!..“

დიდია ჩვენი **„ოდაბადე“** სოფელი აფხაზეთში.

წელს მხოლოდ სამ ქართულ ოჯახში შემოუარა ეზო-კარს **„ქუჩუჩით“** ხელდამშვენებულმა მეკვლემ და კეთილნათესავებზე ასჯერ მეტი აფხაზი მეზობლის **„...გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა გვისურვა!..**

დ. ქობალია

P.S. ჩემმა თანამოსაუბრე, აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა სახელის და გვარის გამჟღავნებაზე ური მითხრა – **„არ ვიცი რომელი მხარე გამოიყენებს ჩემს ნათქვამს და პროვოკაციას მომიწყობსო!..“**

ეს საუბარი ორი წლის წინ ჩავიწერე. დიდხანს ძებნის შემდეგ, მაინც ვიპოვე ტყვარჩელელი ქალბატონი, რომელიც ვინაობის ხსენებაზე არც ამჯერად დამეთანხმა. ჩემი ნახვა გაუხარდა, მითხრა წინათგრძნობა მქონდა, რომ გამოჩნდებოდითო!

არაფერი მიკითხავს, ისე დაიწყო მოყოლა:

– კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ ჩვენი მდგომარეობა. ახლა, ბევრად მეტი პრობლემა ქართულ მხარესთან გვაქვს, აქედან აფხაზეთში ვერც საჭმელს წაიღებ და ვერც სასმელს, თითქოს ჩვენი იმედით ცხოვრობდნენ ენგურსგაღმელები... სამარცხვინოა, როცა საქვეყნოდ აცხადებენ აფხაზები გამორბიან საქართველოშიო! საინტერესოა, მაინც ვის სჭირდება ასეთი იაფფასიანი ფარსი?!.

– არ მახსოვს, გაზეთ „ილორში“ წავიკითხე მგონი, საქართველოდან თავდაღწეულები, ევროპაში თავშესაფრის მისაღებად ყველანაირ ჭორს და სიბინძურეს იგონებენ საქართველოზე, არაფერს ერიდებიან ოღონდ თავი დევნილ-დამცირებულად გამოაცხადონ და უცხოეთში დარჩენის უფლება მიიღონ...

– მითხარით, რა განსხვავებაა იმ ათიოდე აფხაზსა და ათიათასობით ქართველს შორის, უცხო ქვეყნებში, უკეთესი ცხოვრების პირობების მისაღებად საფლავში მიცვალებულს რომ არ გვიტოვებენ წაუბილწავს?!.

მე თუ მკითხავთ, ის ათიოდე, საქართველოში გამოქცეული (თუ გადმობირებული?!.) აფხაზი უფრო მისაღებად მიმაჩნია, ისინი ხომ ისევ საკუთარ სამშობლოში, საქართველოში გამოიქცნენ უკეთესი ცხოვრების საძიებლად!..

რით ისუნთქებენ მთვარეზე?

როგორც ამბობენ, მთვარეზე ავტონომიური კოსმოსური ბაზის შექმნა ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება. ამ დროისათვის კი უმთავრესი ამოცანა მთვარის გრუნტიდან ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი ნივთიერებების ამოღება იქნება.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ მიმართულებით უდიდესი ნაბიჯი გადადგეს. მეცნიერები რამდენიმე წლის მანძილზე ცდილობდნენ, ოქსიდებიდან სუფთა მეტალის მიღების მეთოდი შეემუშავებინათ. ელექტროქიმიური რეაქციის შედეგად მიღებულ იქნა სუფთა მეტალი და ჟანგბადი, რომელიც ნახშირბადთან ურთიერთქმედების შედეგად ნახშირჟანგს წარმოქმნის. როგორც ცნობილია, მთვარეზე მეტალების ოქსიდები დიდი რაოდენობითაა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ჯაჭვი ოდნავ შეცვალონ. იმავე რეაქციის შედეგად ამ ოქსიდებიდან მეტალი და ჟანგბადი მიიღეს, მხოლოდ ეს ჟანგბადი სხვა ელემენტებთან რეაქციაში აღარ შედის. ამერიკელი პროფესორის მტკიცებით, მზის ელემენტებზე მომუშავე 4,5-კილოვატიანი სამი გენერატორისა და სამი ტონა მთვარის ოქსიდებისაგან წელიწადში ერთი ტონა ჟანგბადის მიღება შეიძლება, რაც სუნთქვის პრობლემას მოხსნის.

არის კიდევ ერთი პრობლემა – ამერიკელები და რუსები მალე განიხილავენ სახვადასხვა ტექნიკურ და ეკონომიკურ საკითხებს და კოსმოსში ადამიანის სამომავლო სტრატეგიასაც ამის შემდეგ შეარჩევენ.

რუსეთმა, შესაძლოა, ენერგეტიკული ბრძოლის ფინალი მოიგოს

ექსპერტები გამოწვლილვით აანალიზებენ **„ნაბუკოს“** გაზსადენის პროექტზე გასულ ორშაბათს მიღწეულ შეთანხმებას. ევროკავშირი ამ საერთაშორისო აქტს მთავარ წარმატებად მიიჩნევს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს თურქეთის, როგორც მთავარი სატრანზიტო ქვეყნის ჩართვას ამ პროექტში.

მაგრამ მთავარი წინააღმდეგობაც თურქეთის მხრიდან მოდის. ერთი მხრივ, თურქეთი დაინტერესებულია სომხეთის ენერგეტიკული პროექტებით, მეორე მხრივ, სომხეთთან საზღვრის გახსნის გადაწყვეტილება თურქეთში **„რეზონანსული“** აღმოჩნდა: ურთიერთობების ნორმალიზაციის სურვილმა ვერ გადაფარა ტრადიციული გაუცხოება. ეს კი სერიოზული დაბრკოლებაა თურქეთის ევროკავშირში მიღების გზაზე. **„ნაბუქოსთან“** დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე თურქეთმა დაადასტურა, რომ **„ანკარის ურთიერთობები მოსკოვთან მაშინ იფურჩქნება, როცა ევროკავშირში მისი გაწევრების იმედი ჭანება“.**

„ირან-სომხეთის ბუნებრივი გაზის მილსადენით და რუსეთიდან ერევნისკენ მიმავალი საექსპორტო მილსადენით, მოსკოვმა უკვე შექმნა პროდასავლური, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის პერპენდიკულარი ჩრდილო-სამხრეთის დერეფანი. თუ სომხეთი ირანს რუსული მხარდაჭერით ელექტროენერგიას მიაწვდის, ეს კვანძი გაფართოვდება“, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

ფრიად ჩახვეულ-ჩახლართული სიტუაციაა.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ამ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს, სომხეთის მეცამორის ატომური ელექტროსადგურია, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა მოსკოვისა და ანკარის ინტერესები. ეს ელექტროსადგური, ავტორიტეტული მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად დაცულ მოქმედ სადგურად ითვლება. ამიტომაა, რომ **„მოსკოვსაც და ანკარასაც თვალი უჭირავს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც არა მხოლოდ სომხეთს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით, არამედ მეზობელ ქვეყნებში საექსპორტოდაც საკმარისი იქნება”**. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სადგურის აგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის კონტროლი გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზე და, შესაბამისად, **თურქეთსა და, პოტენციურად, ირანსა და საქართველოზე ზემოქმედებისთვის ძლიერ ბერკეტებს შექმნიდა.**

ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, რომ **მოსკოვის მიერ 40 მილიონი დოლარის ვალის ანულირების სანაცვლოდ, სომხეთმა რუსეთს მეცამორის სადგურზე, რომელიც სომხეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 40 პროცენტს აწარმოებს, კონტროლის უფლება დაუთმო.**

შეგიძლიათ, პარალელი გაავლოთ ენგურჰესის მართვის უფლების მოსკოვისთვის გადაცემის ფაქტთან.

სპეციალისტებისა და ექსპერტების გათვლების თანახმად, **„ნაბუკოს“** პროექტის დასრულება იმ მომენტს დაემთხვევა, როცა მეცამორის რეაქტორის შემცვლელი სადგური მწყობრში ჩადგება და **„დასავლეთის ენერგეტიკული მიღწევები კავკასიაში რუსეთის ენერგეტიკული წარმატებების ფონზე წარიმართება“**.

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

აი, კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ლიონ ფოიხტვანგერმა ჩაწერა თავის ცნობილ წიგნში **„მოსკოვი-1937“:**

„ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის ისტორია ორ ნაწილად იყოფა — ბრძოლის ეპოქად და აღმშენებლობის ეპოქად. ამასთან, კარგი მეომარი ყოველთვის არ შეიძლება იყოს კარგი მუშაკი და სავალდებულო არც არის, რომ სამოქალაქო ომის გმირმა თავი გამოიჩინოს სამოქალაქო აღმშენებლობის ფრონტზე. ახლა სამოქალაქო ომი დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცა. კარგი მეომრები, რომლებიც მშვიდობიან შრომაში ჩამორჩნენ, განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და გასაგებია, რომ ბევრი მათგანი რეჟიმის მოწინააღმდეგედ იქცა“.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის ფონზე წინ წამოიწია ახალგაზრდობამ, რომელმაც დაჩაგრა გაზულუქებული ბიუროკრატია და **„ძველი გვარდია“**, რომელთა კომპეტენცია დრომ დააყენა ეჭვის ქვეშ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ლავრენტი ბერია კი ბევრი მისი კოლეგისა და ამხანაგისაგან განსხვავებით უაღრესად კომპეტენტური იყო. ახალი საარჩევნო სისტემის პირობებში მას **ხალხის მასა** ზურგს არ შეაქცევდა და არჩეული იქნებოდა ყველა შემთხვევაში. და იგი არა მხოლოდ გამოეხმაურა კონსტიტუციის პროექტს, არამედ განიხილა იგი საფუძვლიანად და გასაგებად. მისი სტატია **„ახალი კონსტიტუცია და ამიერკავკასიის ფედერაცია„** გაზეთ **„პრავდაში“** დაიბეჭდა უკვე 12 ივნისს.

იგი დაწერილი იყო ჭეშმარიტი სტალინური სულისკვეთებით:

„ეჭვსგარეშეა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები ახალ კონსტიტუციას გამოიყენებენ საკუთარი კონტრრევოლუციური მიზნების განსახორციელებლად. უპირველესად ესენი იქნებიან ტროცკი-ზინოვიევის განადგურებული ჯგუფის ნარჩენები“.

ბერიას შიში, რა თქმა უნდა, გამართლებული იყო! 1937 წლის ივნისის პლენუმის დაწყების წინადღეს, რომელზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი, მექსიკიდან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე მოვიდა ტროცკის დეპეშა:

„სტალინის პოლიტიკას ქვეყანა მიჰყავს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის დამარცხებისაკენ. ერთადერთი ხსნა საბჭოთა დემოკრატიისკენ შემობრუნებაშია, რაც სასამართლო პროცესების გამჭვირვალეობით უნდა დაიწყოს. ამ გზაზე მე სრულ მხარდაჭერას გპირდებით“.

მან კარგად იცოდა, თუ როდის უნდა დაეწერა — მოსკოვში თავმოყრილი იყო მთელი პარტიული ხელმძღვანელობა! და მან ეს გაზეთებიდან კი არ იცოდა — მოსკოვთან საკმაოდ მყარი კავშირები გააჩნდა!

ტროცკი ჯერ კიდევ ნათელი და შთამბეჭდავი ფიგურა იყო — არა თავისთავად, არამედ როგორც მის მხარდამჭერთა აღმაფრთოვანებელი. სწორედ მის მხარდამჭერთა, და არა მასების — მასები სტალინს მიჰყვებოდნენ.

ფოიხტვანგერმა ბრწყინვალედ აღწერა 1937 წელი და ასევე ბრწყინვალედ დაახასიათა ტროცკი და სტალინი. მოვიყვან ციტატას:

„ტროცკი დამაბრმავებელი ერთეული მოვლენაა. სტალინი კი გენიალობამდე ასული რუსი მუშისა და გლეხის ტიპი და მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია, რადგან მასში შენივთებულია ორივე კლასის ძალა. ტროცკი რაკეტაა, რომელიც სწრაფად ქრება, სტალინი კი ცეცხლია, რომელიც კიდევ დიდხანს იგიზგიზებს და გაათბობს ყველას“.

აღვნიშნავ, რომ ლავრენტი ბერიაც გლეხის შვილი იყო, რომელიც ინტელექტუალური შრომის თვალნათელ წარმომადგენლად იქცა. მაგრამ იგი გენიალურად ვერ იქცა.

აი, ტროცკის მიერ ესპანელი ტროცკისტებისათვის მიცემული რეკომენდაცია, რომელიც დაიბეჭდა 1937 წლის **„ოპოზიციის ბიულეტენში“:**

„მძლავრი ხელით შეიძლება ათიათასობით ადამიანის მობილიზაცია, რათა ისინი გამოვგლიჯოთ სტალინისა და სოციალ-დემოკრატების გავლენის სფეროს... და უზრუნველვყოთ არა მხოლოდ... რესპუბლიკელთა გამარჯვება ფაშიზმზე, არამედ მშრომელთა მიერ ექსპლოატატორებზე გამარჯვებაც“.

იგივე სამოქმედო ხაზს სთავაზობდა ტროცკი თავის მომხრეებს საბჭოთა კავშირშიც.

სინამდვილეში ეს არ გახლდათ გამარჯვების სტრატეგია — სტალინი ჯერ კიდევ 1934 წელს ეუბნებოდა ჰერბერტ უელსს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ავანგარდი უძლურია მასის თუნდაც ჩუმი მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ, ტროცკის თუნდაც ათი ათას **„არწივს“** შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა ქვეყნისათვის, რადგან ძალიან დაძაბული ჟამი იდგა.

შეგახსენებთ:

1937 წლის 31 მარტს დააპატიმრეს იაგოდა — მაშინ უკვე კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი. მაგრამ დაპატიმრებები შინსახკომის ცენტრალურ და პერიფერიულ აპარატში გრძელდებოდა; მაისში მასიური დაპატიმრებები ჩატარდა წითელი არმიის უმაღლეს სარდლობაში, დააპატიმრეს მარშალი ტუხაჩევსკი, არმიის სარდლები იაკირი, უბორევიჩი, კორკი, კორპუსის მეთაურები პრიმაკოვი, პუტნა; სამარცხვინო სასამართლო პროცესი თვითმკვლელობით აირიდა თავიდან გენერალმა გამარნიკმა; 1937 წლის ივნისში ჩატარდა სასამართლო პროცესი სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ და 11 ივნისს რამდენიმე პიროვნებას დახვრეტა მიუსაჯეს...

1938 წლის მარტისათვის **მზადდებოდა სამხედრო შეთქმულთა მესამე პროცესი — „მემარჯვენე ტროცკისტთა ბლოკის“** წარმომდგენლების ბუხარინ-რიკოვის წინააღმდეგ, რომელზეც გაასამართლეს იაგოდაც. ამასთან, მზადდებოდა სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

აი, როგორ ვითარდებოდა პოლიტიკური მოვლენები საბჭოთა კავშირში 1937 წლის ივნისის დასასრულს, როცა მოსკოვში ცეკას მორიგი პლენუმი გაიხსნა, რომლის მუშაობაც 20 ივნისისათვის იყო დაგეგმილი.

რეალურად მისი მუშაობა მიმდინარეობდა 23-დან 29 ივნისამდე. პლენუმმა განიხილა **„საბჭოთა კავშირში უმაღლესი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობა“** და მოიწონა იგი. პლენუმის ინფორმაციულ ნაწილში, რომელიც გაზეთ **„პრავდაში“** გამოქვეყნდა 30 ივნისს, ნათქვამი იყო, რომ **„შემდეგ პლენუმმა განიხილა საკითხები: ა) სათესლე მარცვლეული კულტურის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, ბ) ხვნა-თესვის კამპანიის სწორად ჩატარების შესახებ და გ) სათესლე მარცვლეული კულტურის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაოთა დაგეგმვისა და ჩატარების შესახებ...“**

სათესლე მარცვლეულის საკითხი პლენუმზე ნამდვილად იქნა განხილული და შესაბამისი დდგენილებაც მიიღეს, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

მაგრამ მთავარი მაინც **„არჩევნების საკითხი“** იყო, მაგრამ ამის თაობაზე რაიმე ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა. საერთოდ, ამ პლენუმის თაობაზე მცირე რამაა ცნობილი — მისი სტენოგრამაც კი არ არსებობს. მისი დღის წესრიგიც კი ფარული იყო, იმიტომ, რომ **„სათესლე მარცვლეულის“**. საკითხი იყო არა უკანასკნელად განსახილველ საკითხთა სიაში, არამედ ერთ-ერთი პირველი.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

მათ შორის რამდენიმე მიზეზი განხილულია იური ჟუკოვის წიგნში **„სხვა სტალინი“**, რომლისთვისაც უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ეწოდებინა **„ნამდვილი სტალინი“**, თუ მხედველობაში მივიღებთ არა მხოლოდ ავტორის შენიშვნებს, არამედ კონკრეტულ ფაქტებსაც.

წიგნის გარეკანის ბოლო გვერდზე დაბეჭდილ ანოტაციაში მითითებულია, რომ ჟუკოვი აქვეყნებს დაუჯერებელ ამბებს, კონკრეტულად კი:

„სტალინს სურდა დემოკრატიზაციის პროცესების დაწყება, რისთვისაც ენება არჩევნების ჩატარება ალტერნატიულ საფუძვლებზე, რათა უზრუნველყო იმ ახალი ძალების წინა პლანზე წამოწევა, რომელთაც თავი გამოიჩინეს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში; ...ცდილობდა ხელისუფლებისათვის ჩამოეშორებინა პარტოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ მსოფლიო რევოლუციაზე ოცნებობდა და თანდათან გადაიზარდა ბურჟუაზიაში; ცდილობდა ეკონომიკის მართვის სათავეებიდან ჩამოეშორებინა დილეტანტები და შეეცვალა ისინი სოციალისტური სისტემის მიერ აღზრდილი კადრებით, პროფესიონალებით; ...გაეტარებინა საბჭოთა კავშირში რუსეთის გარშემო შემოკრებილ ხალხთა ეროვნული ინტერესების დამცველი შიდა და საგარეო პოლიტიკა“.

ყველაფერი ნათელია.

საბჭოთა და პარტიული ელიტა თანდათან უფრო თავხედდებოდა. მაგალითად, მიუხედავად პარტიული ამხანაგების მათ იქ არყოფნაში უმაღლეს ორგანოებში არჩევის (კოოპტაციის) აკრძალვის თაობაზე ცეკას დადგენილებისა, ეს მანკიერება მაინც გრძელდებოდა. მაგალითად, ჩელიაბინსკის ოლქში ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანო საკითხების ორ მესამედს წყვეტდა არა სესიებზე, არამედ **„გამოკითხვის“** წესით. იგივე სიტუაცია იყო სვერდლოვსკში და აზოვის ზღვისპირეთში.

დასავლეთის ოლქის აღმასკომის 20.000 დადგენილებიდან, რომელიც მიღებულ იქნა 1936 წლის დასაწყისიდან, მხოლოდ 500 იქნა განხილული პრეზიდიუმის სხდომაზე, დანარჩენი კი მიღებულ იქნა ან გამოკითხვით, ან თავმჯდომარეებისა და მდივნების ხელმოწერით.

უკანასკნელმა ფაქტმა სამი სამწუხარო მომენტი გამოავლინა:

— რეგიონალური **„ბელადების“** რიცხვის ზრდა არა მათი საქმიდან გამომდინარე, არამედ **„ქაღალდწარმოებით“** (საოლქო მნიშვნელობის 40 **„ქაღალდი“** დღეში);

— ბელადთა ბღენძიაობა, რომლებიც მხოლოდ ხალხის მოთხოვნებს კი არ ისმენდნენ, თავიანთ გარემოცვასაც კი არ უწევდნენ ანგარიშს;

— რეგიონალურ წრეთა ხელმძღვანელების მიერ მდგომარეობის შეცვლაზე უარის თქმა.

სტალინმაც იგივე მეთოდს მიმართა (ჯოხს ხომ ორი ბოლო აქვს!). უკვე მაისის მეორე ნახევარში **„გამოკითხვის“** წესით გამოყვანილი იქნა სკკპ (ბ) ცეკას შემადგენლობიდან სვერდლოვსკის ოლქის პირველი მდივანი კაბაკოვი, რუძუტაკი, ელიავა, მამია ორახელაშვილი, უხანოვი (მათ გარდა კიდევ ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი, ეიდემანი, გამარნიკი)...

პლენუმის მიმდინარეობისას კი ყოველივე ხმაურის გარეშე ცეკას შემადგენლობა დაატოვებინეს სხვებსაც, რომლებიც პატრიიდანაც გარიცხეს... მათ შორის იყვნენ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკავშირო კომისიის თავმჯდომარე უნშლიხტი, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ანტიპოვი, საბჭოთა მეურნეობების ყოფილი სახალხო კომისარი კალმანოვიჩი, კურსკისა და ოდესის საოლქო კომიტეტთა პირველი მდივნები შებოლდაევი და ვეგერი, ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტიევი.

ყოფილი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ქართველიშვილი ამიერკავკასიიდან ჯერ კიდევ 1933 წელს წავიდა. იგი ჯერ დასავლეთ-ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო, შემდეგ კი შორეული აღმოსავლეთის სამხარეო კომიტეტისა, შემდეგ კი გვარი გადაიკეთა და, როგორც ლავრენტიევი, დაინიშნა ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნად.

„დემოკრატები“ ლავრენტიევ-ქართველიშვილის რეპრესიას ბერიას უკავშირებენ. მაგრამ, იქნებ აგვიხსნან, თუ როგორ იქონიებდა გავლენას საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ბერია ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბედზე. მართალია, ყირიმიც მზიური მხარეა, მაგრამ საქართველოს შემადგენლობაში იგი ნამდვილად არ შედის.

მაგრამ, ჯერჯერობით ეს ყველაფერი **„კვირტები“** იყო. მჟავე **„ნაყოფით“** პლენუმის მრავალ მონაწილეს გაუმასპინძლდა 1937 წლის 26 მაისს ჩამოყალიბებული, ახალი საარჩევნო წესდების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე იაკობ იაკოვლევი (ეპშტეინი). მან განაცხადა, რომ არჩევნები იქნება საყოველთაო, თანაბარი, პირდაპირი და ფარული. მან ხაზი გაუსვა, რომ არჩევნები, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, იქნება — ალტერნატიული!

ალტერნატიული!

ეს მხოლოდ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდში იქცა ნორმად საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარის შეტანა, თუმცა, კონსტიტუცია რამდენიმე კანდიდატის წამოყენების უფლებას იძლეოდა. მაგრამ, მაშინ ყველაფერი წესით მიდიოდა.

კონსტიტუციის თანახმად (ეს პუნქტი 1953 წელს შეტანილია საშუალო სკოლების მე-7 კლასის სახელმძღვანელოშიც კი) დეპუტატობის კანდიდატურის წამოყენების უფლება ეძლეოდათ **„ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს, მუშათა და გლეხთა პროფესიულ კავშირებს (დარგობრივი პროფკავშირების რაოდენობაც კი რამდენიმე ათეული იყო), კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, კულტურის მუშაკთა საზოგადოებებს“...**

ამ სიაში არ შედიოდნენ წარმოებების, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების, სამხედრო ნაწილების საერთო კრებები!

იაკოვლევი ამბობდა:

„კონსტიტუცია უფლებას აძლევს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა სსრკ უმაღლეს საბჭოში. ამ სტატიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და იგი შემოტანილია ამხანაგ სტალინის წინადადებით. მისი მიზანია დემოკრატიის ჩარჩოების გაფართოება და იგი უზრუნველყოფს არჩევნების პროცესის დემოკრატიულად ჩატარებას“.

ეს ტრიბუნიდან ნათქვამი უბრალო სიტყვები არ იყო, იმიტომ, რომ შემდეგ იაკოვლევი აკონკრეტებდა საერთო თეზისს:

„საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში წარმოდგენილი ყველა კანდიდატურა...“

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს ღირსეული შვილები

პროფესორი მიხეილ კვესელავა ერის სასიქადულო მამულიშვილი

ბატონი რეზო კვესელავა ერის სულიერებას ტიტანივით შემდგარი რაინდია – ნიჭიერი, ნაკითხი, გულმართალი შემოქმედი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით მუდამ მისაბაძი იქნება მომავალი თაობებისათვის. ქართული კინო და ლიტერატურა ხომ წარმოუდგენელია რეზო კვესელავს შემოქმედების გარეშე. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში სიამოვნებით ვთავაზობთ მკითხველს ბატონი რეზოს მოგონების წერილს შესანიშნავ მეცნიერებსა და პიროვნებებზე – მიხეილ კვესელავასა და აკაკი გაწერელიაზე.

ცნობილი ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ კვესელავა დაიბადა 1913 წელს, სოფელ ლეციცხვაიეში. იგი ავტორია ტრილოგიისა **"ასერგასის დღე" ("თემიდას თვალები" – 1967, "ევროპის მოტაცება" – 1970 და "ნემეზიდას მახვილი – 1971"), "ფაუსტური პარადიგმები"** (ორტომეული, რაც დასავლეთევროპული ლიტერატურული აზროვნების ფართო პანორამის შემცველი გამოკვლევაა), **"პოეზიის ინტეგრალები", "ბულგარული ლიტერატურა"** მონოგრაფიისა **"ადამ მიცკევიჩი"** და სხვა.

მიხეილ კვესელავამ ჰუმანიტარული განათლება მიიღო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გერმანულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქართული მწერლობის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

მიხეილის ძმა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დავით კვესელავა გახლდათ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გამოთვლით ცენტრს და სიკვდილამდე ამ ცენტრის ხელმძღვანელი იყო. იგი იკვლევდა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და გამოთვლითი მათემატიკის საფუძვლებს. დავითს თავდავიწყებით უყვარდა ჭადრაკი და ბევრი ცნობილი მოჭადრაკე დაუმარცხებია.

ჯერ კიდევ ასპირანტი იყო მიხეილ კვესელავა, მაგრამ უკვე ლექციებს კითხულობდა. შემდეგ კი სანიმუშოდ კეთილი ოჯახი შექმნა თავის სტუდენტ მერცია ქარცივაძესთან ერთად.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ბატონი მიხეილის ლექციებს, როგორც წესი, უამრავი ხალხი ესწრებოდა და მეც დავსწრებივარ. აუდიტორია გადაჭედილი იყო, მოდიოდნენ მსმენელები სხვადასხვა ფაკულტეტებიდან. კითხულობდა შთაგონებით, პოეტური აღმაფრენით, შესაშური ლოგიკური თანმიმდევრობით. მისი ყველა ლექცია შემოქმედებითი შედევრი იყო, თავისუფალი ყოველგვარი დოგმებისაგან.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ მიხეილმა, ვლადიმერ მაჭავარიანთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტს, იყო ამ ინსტიტუტის პრორექტორი. ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. ომის თემას მიხეილ კვესელავამ სამი ტომი მიუძღვნა. იგი არ ყოფილა უბრალო ჯარისკაცი, თითქმის ყველა ფრონტი მოიარა, ბოლოს კი მონაწილეობა მიიღო ნიურნბერგის ცნობილ პროცესში, დაკითხა მრავალი სამხედრო დამნაშავე. მისი არქივი ახლაც დაცულია ნიურნბერგში.

მეორე მსოფლიო ომიდან დემობილიზებული მიხეილ კვესელავა დაუბრუნდა მის მიერ დაარსებულ უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტს, ამჯერად უკვე როგორც რექტორი. ეს გახლდათ ინსტიტუტის ოქროს ხანა. მ. კვესელავამ ინსტიტუტი აქცია თავისუფალი აზროვნებისა და ნიჭიერების ასპარეზად. აქედან გადაიყვანეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და მეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელად. მის ნაცვლად ინსტიტუტში რექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ცნობილი გოეთოლოგი, პროფესორი დავით ლაშქარაძე. დავითი ნერვიულობდა და ამბობდა: **"განა ადვილია მიხეილის შემდეგ ინსტიტუტის გაძღოლაო".**

იმ თანამდებობათა მხოლოდ ჩამოთვლაც კი, სადაც ბატონ მიხეილს უმუშავია და რა საქმეც გაუკეთებია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება: აქ ბევრი ახალი და საინტერესო იდეა წამოაყენა მათ განსახორციელებლად საუკეთესო ინტელექტუალურ ძალებს მოუყარა თავი. **"ვეფხისტყაოსნის"** გერმანულ ენაზე მთარგმნელი, ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი ჩამოიყვანა და თავის სახლში დააბინავა. აქ ჰუპერტს ჩიტის რძეს არ აკლებდნენ, ოღონდ მხნედ და შრომისუნარიანად ეგრძნო თავი. რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების ჰუპერტისეული თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოა სხვა თარგმანთა შორის და ბევრი პრემიაც მიიღო... როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიხეილი პარალელურად ლექციებს კითხულობდა, ხოლო უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების დერეფნებში მსმენელთა რაზმი მუდმივად დასდევდა.

უცებ თეატრალური ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს. აქაც აკაკი ხორავასა და სხვა პედაგოგებთან ერთად სწავლების სრულყოფის ბევრი ახალი პროექტი შეიმუშავა...

ცენტრალური კომიტეტის ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე მრავალი ეროვნული საქმე გააკეთა. ყველგან პოულობდა მომხრეებს, რადგან დარწმუნების არაჩვეულებრივი უნარი გააჩნდა. მან ჩააგონა ხელისუფლებას, რომ ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სანჰიგიენისა და სხვა სამოქალაქო დანიშნულების მქონე ობიექტები აეღოთ.

ბატონმა მიშამ თავის თავზე აიღო კომუნისტური ხელისუფლებისაგან შერისხული დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების ფართო ექსპოზიციის ორგანიზება. მახსოვს, მაშინდელი მიხეილ კვესელავა თავის სტიქიაში იყო. მიხეილ კვესელავამ მოახერხა პავლე ინგოროყვას **"გიორგი მერჩულეს"** დაცვა, რომელსაც მოშურნენი ყოველი მხრიდან უტევდნენ. ბატონ პავლეს უთქვამს: **"არ მეგონა, თუ პარტიის დავალებას ასე აშკარად გადაუხვევდა პარტიის კაცი, თანაც სპეციალურ საკითხებში ისეთ ცოდნას გამოამჟღავნებდა და ისტორიკოსებსაც გააკვირვებდაო".** ამას წერს კინორეჟისორი გუგული მგელაძე თავის დოკუმენტურ მოთხრობაში **"პავლე ინგოროყვა".**

კინოსტუდია "ქართული ფილმი". აქ მიხეილი ორჯერ გამოგზავნეს ხელმძღვანელად. პირველად ეს მოხდა 50-იან წლებში და მაშინ კინოფილმი **"ქეთო და კოტე"** დაიდგა. მეორედ, 60-იან წლებში. ამ მეორე პერიოდის მოღვაწეობა საინტერესოდ დაახასიათეს კინორეჟისორებმა რევაზ ჩხეიძემ, ელდარ შენგელაიამ და მწერალმა რეზო ჭეიშვილმა. კერძოდ, რევაზ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ე.წ. დისიდენტური აზროვნება ქართულ კინოში ბატონ მიშას მოსვლით იწყებაო. ბევრს წერენ აგრეთვე ბატონი მიშას მუშაობის მეთოდზე – **"გლობალურად უდგებოდა თემას და წვრილმანი შენიშვნებით დაბრკოლებას არ უქმნიდა რეჟისორებსო".**

ქართული ფილმის **"ვედრების"** (ვაჟას მოტივებზე) შექმნის იდეა პირველად ბატონი მიშას სამუშაო კაბინეტში დაიბადა. ვიყავით სამნი,– იხსენებს რევაზ ჩხეიძე,– ბატონი მიშა, ანზორ სალუქვაძე და მე, შემდეგ რეჟისორი თენგიზ აბულაძე შემოგვიერთდა, რომელმაც გადაიღო კიდეც ეს ფიქმი. მალე მიშას სტუდიაში მეამბოხეობა დასწამეს და დაითხოვეს. აბულაძის ჯგუფი მფარველის გარეშე დარჩა, მაგრამ მიშა იმდენად დაინტერესებული იყო **"ვედრების"** გადაღებით, რომ გადამღებ ჯგუფს გაგრაში ჩააკითხა. შემდეგ მიშა კვლავ სტუდენტებთან დაბრუნდა.

უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ევგენი ხარაძეს, ამასთან დაკავშირებით, უთქვამს: **"არ ვიცი, კინოსტუდიამ რა დაკარგა კვესელავას იქიდან წასვლით, მაგრამ ის კარგად ვიცი, რომ მისი მოსვლით უნივერსიტეტმა ბევრი რამ შეიძინაო".**

თანამდებობას რომ ტოვებდა, ბატონი მიშა ახალი წიგნის წერას იწყებდა. ინტერვალებში შექმნა **"ფაუსტური პარადიგმების"** ორი ტომი, რომლის ერთ-ერთი თავის გამო (იგი პოლ ვალერის **"ფაუსტს"** ეხება) ოპონენტმა აკაკი გაწერელიამ აუდიტორიას განუცხადა: **"კვესელავას მხოლოდ ამ ნაწილში ეკუთვნოდა სადოქტორო დისერტაციაო".** ყველას კარგად გვახსოვს ამ დისერტაციის დაცვა უნივერსიტეტში. ეს გახლდათ დრამატული მომენტი. დისერტაციის დაცვაზე მოვიდა უკვე საკმაოდ დაავადებული აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. იგი ხელით ამოიყვანეს კიბეებზე, მისი რეცენზია წაიკითხა გერმანისტმა ოთარ ჯინორიამ. შალვა ნუცუბიძემ დიდი შესაფება მისცა **"პარადიგმების"** წმინდა ფილოსოფიურ მხარეს – არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშეს, მარტინ ჰაიდეგერის, ჟან პოლ სარტრისა და სხვათა იდეების ანალიზს.

ბოლო დროს მიხეილი ძალზე ესწრაფვოდა განმარტოებას. იგი შეუდგა ნაწარმოების შექმნას პოეზიის დარგში, რომელიც სამ ტომად უნდა გამოსულიყო. გამოვიდა მხოლოდ პირველი ტომი **"პოეტური ინტეგრალები"**, რომელშიც გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის ძირითადი ტენდენციები დასავლეთევროპული პოეტური აზროვნების მასშტაბშია განხილული. აღნიშნული ნაწარმოები პოეზიის აპოლოგიადაა შეფასებული.

უპირველეს ყოვლისა, მიხეილ კვესელავა გახლდათ მოქმედების კაცი. პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ ერთხელ მასზე თქვა ის, რაც დღემდე ყველას ახსოვს: **"ბატონ მიშას თანამდებობაზე საქმის საკეთებლად იწვევდნენ, მაგრამ ის ტოვებდა ამ თანამდებობებს, როცა საქმის კეთება შეუძლებელი ხდებოდაო".**

მიხეილი ცხოვრობდა უბრალოდ, შეუმჩნეველად. ფუფუნება არ უყვარდა. მის განსაკუთრებულ მოკრძალებულობაზე კარგად დაწერა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ: **"უფრო გისმენდა, ვიდრე ლაპარაკობდა"**-ო. ბევრი წინააღმდეგობა შეხვედრია ბატონ მიხეილს, მაგრამ რაიმე ირონია ან წყრომა ვინმეს მიმართ არ გამოუხატავს. **"ჭეშმარიტად მიმტევებელი და უშურველი ადამიანი"** – ასე დაახასიათა იგი შექსპიროლოგმა ნიკო ყიასაშვილმა მწერალთა კავშირის ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც მიხეილის ხსოვნას მიეძღვნა.

მიხეილ კვესელავა დაჯილდოებული იყო ორი **"სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით", "წითელი ვარსკვლავის", "საპატიო ნიშნის"** ორდენებითა და მედლებით.

მიხეილი გარდაიცვალა 1985 წელს და სულდიდქმნილებათა ხვედრი გაიზიარა: გარდაიცვალა ნივთიერ სიღარიბეში, სამაგიეროდ მიჰყვა ვაჟა-ფშაველას მოწოდებას და **"სამშობლო აღამაღლა გონებრივ და ზნეობრივ".**

დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში სილამაზის ქალღმერთის ნატო ვაჩნაძის მახლობლად.

ბატონი მიხეილი მზესთან ერთად თაჟვანს სცემდა სილამაზეს, როგორც ღვთით ბოძებულ უმაღლეს სიკეთეს. ამიტომაც მიუჩინა ბედმა მას დიდუბის პანთეონში ადგილი განუმეორებელი სილამაზის გვერდით.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო მიხეილისა და მისი ძმის დავითის დამოკიდებულება სამეგრელოსთან, და კერძოდ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან. ვიცი, რომ ბატონი გივი ელიავა ეძებდა კავშირს ძმებთან, ამის თაობაზე ჩემთანაც უთქვამს. გაიცნო თუ არა ისინი, არაფერი ვიცი, რადგან მე იმჟამად ავად ვიყავი და საავადმყოფოში ვიწექი. სამაგიეროდ ვიცი, რომ მიხეილი და დავითი სიამოვნებით ეხმარებოდნენ მარტვილელ ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებლად ჩამოდიოდნენ თბილისში. საამისოდ თანხებსაც არ იშურებდნენ. ამის მოწმე და ერთ-ერთი ობიექტი მეც გახლდით.

რეზო კვესელავა,
კინოდრამატურგი, ლიტერატორი

რედაქციის მინაწერი: გვინდოდა გამოგვექვეყნებინა ბატონი მიხეილის ფოტოსურათი, და ვიმედოვნებდით, რომ მას ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღმოვაჩენდით, მაგრამ გავწბილდით – ამ შესანიშნავ ადამიანზე ენციკლოპედიაში ორიოდ სიტყვა წერია, სურათი კი არ დაუბეჭდავთ. ალბათ, იმ დროს, როცა ენციკლოპედიის მე-5 ტომი იბეჭდებოდა, კომუნისტური ხელისუფლება გამწყრალი იყო მიხეილ კვესელავაზე, მაგრამ მთლად გვერდი ამ ბუმბერაზ ადამიანს ვერ აუარეს და "ზრდილობის გულისთვის" მოიხსენიეს იგი ასე მწირად. სურათის დაბეჭდვა კი არავის უფიქრია.

მართლაც რომ გულდასაწყვეტია!

მეგობრები გვილოცავენ

გაზეთ **„ილორი"**-ს რედაქციას, სულითა და გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ბედნიერი წელი დადგომოდეს ჩვენს ქვეყანას და მასთან ერთად ჩვენც! სიყვარული, სიკეთე არ მოგვაკლოს ღმერმა! ახალ წელს ვულოცავთ გაზეთ **„ილორს"** ვუსურვებთ წინსვლას, ბევრ მკითხველს და გულშემატკივარს, იმედი გვაქვს თქვენი რედაქცია გაითვალისწინებს ჩვენს სურვილებს და ტრადიციისამებრ საინტერესო მასალებს მოგვაწვდის, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს.

რაც შეეხება ქართველებისათვის ყოვლად უცხო და მიუღებელი **„სანტას ჩამობრძანებას"**, ჩვენც იმწუთასვე აღვნიშნეთ, რომ არანაკლები თოვლის ბაბუები, ფიფქიები და საახალწლო ტრადიციები გვაქვს საქართველოში (სხვას რომ არ მოვბაძოთ და დავესესხოთ!), რაც ბევრად უფრო შეეფერება ჩვენს ქვეყანას და ახალისებს ბავშვებს.

„ჩვენ ყველამ კარგად გავიგეთ ფინურად მოლოცვა" ერთი სიტყვაც არ გამოგვპარვია, რომლის შემდეგ ყველას ერთდროულად რომ არ გაგვჩენოდა ერთი საგანგაშო კითხვა:

–საით მივექანებით?!.

ბედნიერ შობა-ახალ წელს ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს, მის მედგარ ხალხს, ღმერთმა გვაკმაროს გასულ წლებში თავსდატეხილი უბედურება და კარგად გვამყოფოს!

თამარ ლორთქიფანიძე
ნინო ჩიგოგიძე
სინტ-ტრუიდენი, ბელგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უეჭველად დავილუპებოდით, დალუპვის კარებთან რომ არ ვმდგარიყავით (თემისტოკლე)

როგორც საბერძნეთი 2.400 წლის წინათ, ასევე საქართველოც იმყოფება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. კვლავ მოსალოდნელია აგრესია და თუ ეს მოხდა, მოწინააღმდეგის ჯარები გორთან აღარ გაჩერდებიან...

დღეს რუსეთში (ჩვენთანაც) ნანობენ იმას, რატომ ბოლომდე არ მივედითო, რატომ თბილისი არ ავიღეთო. შეუშლიდა ვინმე ხელს ამ გეგმის განხორციელებაში თუ რა? ეს ხელისუფლება ხომ გასაქცევად უკვე მზად იყო, ხოლო თუ ვინმე ტვინაღრძობს ჰგონია, რომ მსოფლიო საქართველოსათვის მესამე მსოფლიო ომს დაიწყებს, ძალიან შემცდარა!

ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ აშშ-ს, ნატოს, ინგლისის, საფრანგეთის დაზვერვამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სამაჩაბლოში პროვოკაცია მზადდებოდა. მათ ის იციან, ციმბირის ტაიგაში რომელი ჩიტი რომელ ხეზე ბუდობს და რაღა საქართველოსთან სამხედრო ძალთა კონცენტრაცია გამორჩათ მხედველობიდან? მაგრამ, პუტინი რომ ჩინეთში ჩავიდა, ბუშს შეხვდა და სწორედ იქ გადაწყდა საქართველოს ბედი. რუსეთი საბაბს ეძებდა ჩვენ წინააღმდეგ ომის დასაწყებად და ჩვენმა უგუნურმა ხელისუფლებამ ეს საბაბი მას მისცა სამაჩაბლოში საომარი ქმედებების დაწყებით. არა და, ომის დაწყების წინა დღეს სააკაშვილი აფრთხილებდა საჯარისო ნაწილებს, პროვოკაციას არ წამოგებოდნენ, მაგრამ ეტყობა პრეზიდენტი დაარწმუნა მისმა გარემოცვამ, რომ რუსეთი შენს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს არ წამოიწყებსო. ამიტომაც დავიწყეთ ომი გაუაზრებლად, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვა. ჩვენ ახლა ღიად ვაცხადებთ რუსეთის არმიისა და ტექნიკის დიდი ნაწილი დიდი ხნის შემოსული იყო ცხინვალის რეგიონშიო, რასაც არ ადასტურებს ტალიავინის დასკვნა. თუ ეს ასე იყო, ვის წინააღმდეგ ვიწყებდით ომს? განა ჩვენ რუსეთის არმიის დამმარცხებლები ვიყავით?.. თუ ომს ვიწყებდით, რატომ ქართული მოსახლეობა არ გავიყვანეთ საომარი მოქმედების ზონიდან, როგორც ოსებმა, რატომ ოსეთის საზღვრის მთელი პერიმეტრი არ დავნაღმეთ ეშელონისებურად, რატომ ბოძკანტები და ტანკსაწინააღმდეგო თხრილები არ გავაკეთეთ მოწინააღმდეგის შესაჩერებლად, რატომ რეზერვისტების მობილიზაცია არ მოვახდინეთ, მათ მომზადებაზე ხომ მილიონობით თანხა დაიხარჯა? ომის დაწყების დღეს არც თავდაცვის მინისტრი იყო ადგილზე, არც პარლამენტის თავმჯდომარე და არც პრემიერ-მინისტრი. არც სამხედრო საბჭოზე განხილულა ომის დაწყების საკითხი. მე მივმართავ პაატა დავითაიას კომისიას: რატომ არ აგო პასუხი ვინმემ ამ დანაშაულებრივ ქმედებაზე? ტალიავინის დასკვნა საქართველოს ხელისუფლებისათვის არც თუ სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ რა ხდება, ხელისუფლებიდან მოედინება სიცრუის ნიაღვარი, თითქოს ცამდე მართლები ვართ ყველაფერში. არა და, ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ, მიუხედავად იმისა, რომ ოსები სისტემატურ პროვოკაციებს აწყობდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

ამერიკის პრეზიდენტ ბუშს მომხდარზე რეაქცია არ ჰქონია, ის მხოლოდ ბაიდენის წინადადებას დაეთანხმა საქართველოსათვის მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე.

როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის უზურპირებული ხელისუფლების დროს კონფლიქტის მოწესრიგების ბევრი შესაძლებლობა დავკარგეთ. ჯერ იყო და ერგნეთის ბაზრობა გავაუქმეთ, თითქოს იქიდან დიდძალი კონტრაბანდა შემოდიოდა. ამ ბაზრობამ კი ქართველი და ოსი ხალხები იმდენად დააახლოვა ერთმანეთს, რომ **"პოსლეზედაც"** კი მოდიოდა ანგარიშსწორება. ეს ბაზრობა რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა შეგვექმნა. ამ გაუქმებით მილიონები იშოვნეს სახელისუფლებო კლანებმა, ეგონათ, თუ ოსეთში ჯარებს შეიყვანდნენ, აჭარის პრეცენდენტი განმეორდებოდა, შედეგად კი სრული ფიასკო მივიღეთ.

ხშირად გაიგონებთ – აფხაზები ჩვენი ძმებია, ერთი მოდგმისანი ვართო. კეთილი, თუ ეს ასეა, რატომ არ გახდა რომელიმე აფხაზი პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე ან პრეზიდენტი? ქართული პოლიტიკური ელიტა აფხაზს კი არა, მეგრელს ვერ გუობს!

ჩვენი ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა ობამას მოსკოვში ვიზიტზე, მაგრამ იქ საქართველოს სასარგებლოდ არაფერი თქმულა. მეტიც, ობამამ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარა.

არც ბაიდენის მწვავე განცხადებებს მოჰყოლია შედეგი – რუსები უფრო მეტად გაღიზიანდნენ ჩვენზე.

მედვედევი აცხადებს, რომ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებასთან დიალოგს არ გამართავს. იგივეს ამბობენ ოსებიცა და აფხაზებიც. თუ 2013 წლამდე ასე გაგრძელდა, საქართველომ საერთოდ შეიძლება აღარ იარსებოს. ჩვენ გვჯერა **ნატო**სი, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ რაიმე კონკრეტული ნაბიჯები გადადგან საქართველოს დასაცავად. ნატოში ჩვენ არავინ მიგვიღებს, და რომც მიგვიღონ, ის ვერ დაგვიცავს გარე აგრესიისაგან. რომც დაგვიცვან, ეს ომი გრელანდიაში ხომ არ გაიმართება. საქართველო მიწისაგან პირისა აღიგვება...

როგორც ამბობენ, საქართველომ შეიარაღებაზე 12 მილიარდი დოლარი დახარჯა. ეს თანხა აფხაზებსა და ოსებთან არსებული პრობლემების გადაჭრას რომ მოხმარებოდა, დღეს ისინი ჩვენთან იქნებოდნენ.

კოდორის ხეობა ტყვიის გაუსროლელად ჩავაბარეთ მოწინააღმდეგეს, არა და, იქ რომ ემზარ კვიციანი თავისი მეომართა რაზმით ყოფილიყო, საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილ აფხაზეთის ნაწილს – კოდორის ხეობას არ დავკარგავდით. გაუგებარია, რატომ შევქმენით კვიციანისაგან მტრის ხატი. ხომ შეიძლებოდა მისი დაჯგუფება **"მონადირე"** სამხედრო შენაერთად გადაგვეკეთებინა, შეგვეიარაღებინა და კოდორში ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ხელისუფლებამ ამ საძრახის საქმეშიც ფული გააკეთა.

მსოფლიოს გასაგონად ვყვირივართ ჩვენ გავიმარჯვეთო და ტაშ-ფანდურით ვაყრუებთ ყველას. კიდევ ერთი ასეთი **"გამარჯვება"** და საქართველოსაგან აღარაფერი დარჩება!

სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს, ამერიკამ და რუსეთმა სომხეთს დაუჭირეს მხარი. აზერბაიჯანს დღეს მილიონი ლტოლვილი ჰყავს, მაგრამ ალიევს ნატოში შესვლაზე თავი არ მოუკლავს, მან სწორი პოლიტიკით რუსეთიცა და ამერიკაც თავის მოკავშირედ აქცია. ეს ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ რუსეთი მტრად ვიქციეთ.

ჩვენ რუსეთის დაჩოქებას ვცდილობთ ამერიკის და ევროპის დახმარებით. არა მგონია, ეს რეალობასთან ახლოს იდგეს. ჩვენი **"მეგობარი"** ევროპელები ცოტას კიდევ იწიოკებენ, შემდეგ კი პილატესავით დაიბანენ ხელს და გაჩუმდებიან. ასეთი არაღიარებული ქვეყნები და ტერიტორიები ბევრი ვიცოდით, მაგრამ ისინი ახლა აღარავის ახსოვს. ასე იქნება სამაჩაბლოსა და სფხაზეთის მიმართაც.

ტაივანი ამერიკის დახმარებით ჩანკაიშმა ჩინეთს ჩამოგლიჯა, კურილიის კუნძულები და სახალინი რუსეთმა იაპონიას წაართვა, ამურისპირეთი ნერჩისა და აიგუნის ხელშეკრულებით რუსეთმა ჩინეთისაგან იჯარით აიღო და აღარც დაუბრუნებია, ასეა კენიგსბერგიც – კანტის სამშობლო, კვიპროსის ნახევარი თურქეთმა იარაღის ძალით წაართვა საბერძნეთს, ფოლკლენდის კუნძულები ინგლისმა არგენტინას წაჭგლიჯა, იტალიელებმა კი სამხრეთ ტიროლი წაართვეს ავსტრიელებს. მერე რა, რომ ეს უკანონოდ მითვისებული ტერიტორიების საკითხი დღემდე დაკონსერვებულია, არავინ ცდილობს მათზე სტატუს-კვოს აღდგენას და ყოფილი მფლობელებისათვის ამ ტერიტორიების დაბრუნებას.

ასე იქნება უსასრულოდ, ჩვენი მდგომარეობაც...

სამწუხაროდ, არც ქვეყნის შიდა მდგომარეობაა სტაბილური. ქვეყანაში სიღატაკეა გამეფებული და ნაცვლად ამ სიბოროტესთან ბრძოლის, ხელისუფლება ინფრასტრუქტურას ანვითარებს. კარგია შადრევნები, კარუსელები და ეშმაკის ბორბლები, მაგრამ მაშინ, როცა სოციალური პრობლემები გადაჭრილია. რაში სჭირდება ბათუმს სტამბოლსა და ოდესაზე დიდი თეატრი, როცა ბათუმი სტამბოლთან შედარებით პატარა სოფელიც კი არ არის. სწორედ გაჭირვებამ დაცალა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი კვალიფიციური კადრებისაგან, რომლებიც ლუკმა-პურის საძებრად უცხოეთში არიან გადახვეწილი.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსათვის გამოყოფილი ერთი მილიარდი დოლარი მთავრობამ სადღაც **"გააიმასქნა"**. ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ იმ 560 მილიონიდან, რასაც ხელისუფლება გზების რეაბილიტაციას ახმარს, 100 მილიონი მაინჯც დაიხარჯოს ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, რადგან ქვეყანა წყალსა და მეწყერს მიაქვს. ბუნება არ გვპატიობს ტყეების ბარბარისულ გაჩეხვას, ამაზე კი კრინტს არავინ ძრავს!..

ბათუმში ეიფელის კოშკის მსგავსი რაღაც შენდება. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხარაჩოებში ჩასმული ამ შენობის სახურავზე დავინახე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები. იქ, ტელეგადაცემა **"ბაბილონას"** წამყვანი და ბავშვები რომ დამენახა, მეც ვიმხიარულებდი, მაგრამ პრეზიდენტი და მთავრობის სხდომა დაუმთავრებელი შენობის სახურავზე – სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ქვეყნის პრეზიდენტს რეფერენდუმის ჩატარების გარეშე არა აქვს ისეთი ობიექტების გასხვისების უფლება, როგორიცაა ენგურჰესი, რკინიგზა, და რაც მთავარია, გოდერძის უღელტეხილზე სომხებისათვის გზის გაყვანა. იგი უეჭველად მეორე **"როკის გვირაბი"** აღმოჩნდება საქართველოსათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მტერს მივუგდოთ საჯიჯგნად.

მეგონა, ახალი ხელისუფლება ყველა თავისას მოჰკითხავდა ადრე ჩადენილი ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც იყო შევარდნაძისა და მისი კრიმინალების მიერ სამეგრელოს ექვსგზის დალაშქვრა. მათი სიტყვებით ჩვენ პროვინციელ ფაშისტებს გვეძახდნენ, ქართული ენის შემრყვნელებს. აკაკის ცნობილი ლექსიც კი გადააკეთეს: **"ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა"**. ის რაც ჩვენმა **"სასახელო"** მხედრიონელებმა დარჩელში ჩაიდინეს, ფაშისტებს არ ჩაუდენიათ ლიდიცესა და ხატინში, მაგრამ ამის მოთავეები, დასჯის ნაცვლად ზოგი ხელისუფლებაში წამოასკუპეს, ზოგსაც ოპოზიციაში მიუჩინეს თბილი ადგილი...

ღიად თუ ფარულად, ყველაფერი კეთდება სამეგრელოს დასამცირებლად. აბა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მეცნიერის გია კვაშილავას აღმოჩენა მსოფლიოს ავტორიტეტულმა მეცნიერებამ აღიარა და შამპოლიონის აღმოჩენასთან გაათანაბრა, ჩვენი ხელისუფლება კი მასთან ზურგშექცევით დგას, რადგან არ უნდა იმის აღიარება, რომ სწორედ კოლხები იდგნენ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან. მეცნიერს იმის სახსრებიც კი არ ეძლევა, რომ ევროპის ქვეყნებში მისი აღმოჩენის საპატივცემულოდ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში მიიღოს მონაწილეობა, მაშინ, როცა ხელისუფლება უხვად აფინანსებს ჰომოსექსუალობისა და ლესბოსელობის პროპაგანდას...

ქართველი ენათმეცნიერებისაგან ხშირად გამიგია, მეგრული და სვანური ენები ქართულის კილოკავებიაო, მაშინ, როცა ქართული ენის ლექსიკური ფონდი 14 ათას სიტყვას შეადგენს, რუსულისა კი 30 ათასს. მამა-შვილმა ცირა და მამანტი ძაძამიებმა და აკადემიკოსმა ვლადიმერ ვახანიამ მეგრული ენის ლექსიკური ფონდი 7 ტომად გამოსცეს, რის გამოც ვახანია ციხეში გამოამწყვდიეს რუსეთის აგენტობის ბრალდებით. ასე რომ, საკითხავია, რომელი ენა რომლის კილოკავს წარმოადგენს...

მინდა მივმართო სამეგრელოს გუბერნატორს ზაზა გოროზიას, რომელიც ჩემი წარჩინებული მოწაფე და ზრდილი ახალგაზრდა იყო, რომ ხმა ამოიღოს აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას უკანონოდ დაპატიმრების გამო!

საქართველო კვლავ საფრთხის ქვეშაა, რაც დიდად არ ადარდებს ხელისუფლებას! საფრთხის ქვეშაა ყაზბეგის რაიონი და თრუსოს ხეობა, რომელიც შეიძლება ისევე მივამატოთ დაკარგულ; ტერიტორიებს, როგორც ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა. ჩვენი ხელისუფლება კი კვლავ სირაქლემას პოზაში დგას და არაფრად აგდებს ამ რეალურ საფრთხეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სრულდება უცხო ძალების შეკვეთა და საქართველოს თანდათან აპატარავებენ, რათა შემდეგ საერთოდ გააქრონ მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუქიდან.

მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო!

დარწმუნებული ვარ, სამშობლო გიყვართ, მაგრამ დაშვებული შეცდომების გამო ვერაფერი შემატეთ მას, დაკლებით კი, ძალიან ბევრი დააკლეთ – ტერიტორიების დაკარგვით თუ მშრომელი ადამიანის სამშობლოდან გადახვეწით ლუკმა-პურის საძებრად. იქნებ თქვენ თავად მიიღოთ გონივრული გადაწყვეტილება და გადადგეთ. გაიხსენეთ ცნობილი ქართული ანდაზა: **"სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს"**-ო... გიმეორებთ, იქნებ გადადგეთ. სხვა გამოსავალს ქვეყნის გადასარჩენად მე ვერ ვხედავ. თქვენი გადადგომის შემდეგ, ვიდრე ახალი არჩევნები გაიმართება, საქართველოს ბედი უნდა მივანდოთ კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რადგან დღეს მხოლოდ იგი ერთადერთი იბრძვის ქვეყნის ღრმა კრიზისიდან გამოსაყვანად.

მასვე უნდა ვთხოვოთ რუსეთთან დიალოგის დაწყება, რადგან უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთში. სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ რუსებმა დაიწყეს ჯარების პერევიდან გაყვანა, მაგრამ სააკაშვილის როყიო და გაუაზრებელი განცხადებების გაკეთების შემდეგ რუსები კვლავ უკან მობრუნდნენ.

მხოლოდ თქვენი გადადგომაა საქართველოს გადარჩენა, ბატონო მიხეილ სააკაშვილო!

მურმან სულავა,
პედაგოგი, მარტვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლს მიჯაჭვული ჯანმრთელი ავადმყოფი

(ათეისტის მოქცევა წმიდა სერგი რადონეჟელის მიერ)

სამების ტაძარში ღირსი მამის სერგი რადონეჟელის წმიდა ნაწილებთან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა. ერთხელაც ამ ეკლესიაში შევიდნენ ვინმე ევგენი – კადრის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი და მისი ათეისტი მეგობრები. როცა იქიდან გამოვიდნენ, ევგენი ანაზდად უკან გაბრუნდა, ლუსკუმას მიუახლოვდა, სადაც ღირსი მამის – სერგი რადონეჟელის წმიდა ნაწილები ესვენა და უნებლიედ გონებით ასე მიმართა წმინდანს: **„წმიდაო სერგი, თუკი მართლაც არსებობ, თუკი შენ გესმის ახლა ჩემი, ისე მოაწყვე, რომ მე ორიოდ წელი დავსნეულდე! ამბობენ, რომ აქ ბევრნი სასწაულებრივად განიკურნებიან, მე კი მინდა, ავად გავხდე, ლოგინად ჩავვარდე!“**

ათეისტი ევგენი ძალზე ჯანმრთელი და ძლიერი სხეულის პატრონი იყო (მას მალე მიავიწყდა ეს ამბავი). სურდოს გარდა არანაირი სნეულება არ მიჰკარებია მის სხეულს. ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაცივდა, ადრე ყოველთვის ფეხზე იტანდა ავადმყოფობას – ახლა კი დღითი დღე სულ უფრო ცუდად ხდებოდა... ერთი კვირის შემდეგ კაბინეტში იატაკზე დაგდებული ნახეს.

გონს რომ მოვიდა, თეთრი ჭერი დაინახა, შემდეგ მეუღლის შეშინებული თვალები. **„რა ხდება?“** – მხოლოდ ეს გაიფიქრა.

რამდენი დღე იყო ასე, არ ახსოვს... ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ევგენი არ გრძნობდა სასოწარკვეთას. რა თქმა უნდა, სულ არ გახსენებია თხოვნა, რომლითაც ასე ქედმაღლურად მიმართა წმიდა სერგის.

ავადმყოფობის გამო იგი თადარიგში დაითხოვეს. წელიწადნახევარი იმკურნალა სხვადასხვა ჰოსპიტლებში, რაღა არ სცადა, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იცვლებოდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი, საწოლში ნახევრად წამომჯდარს მხოლოდ წიგნის კითხვა და ხელების მოძრაობა შეეძლო.

ერთხელაც გაზაფხულის ერთ კვირა დილას ევგენის რატომღაც კარგ ხასიათზე გაეღვიძა. თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ იყო ასე გახარებული, ბედნიერი. **„ჭკუაზე ხომ რა გადავედიო?!“** – გაიფიქრა.

ოთახში შემოვიდა მისი ცოლი. **„იცი,– უჩურჩულა მან,– მოდი ეკლესიაში წავალ. მეზობლის ქალმა მითხრა, დღეს აღდგომაა. ამდენი ხანია, ავად ხარ, მე კი ერთხელაც არ ვყოფილვარ ეკლესიაში!“**

ევგენიმ გულგრილად უთხრა: **„წადი, თუკი გსურსო“**. სიხარულის გრძნობა რატომღაც ამოუხსნელმა სევდამ შეუცვალა. მან უკვე სრულიად ცხადად შეიგრძნო, რომ აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ვედარასდროს გამოჯანმრთელდებოდა და სიკვდილი მოუნდა.

მეუღლე ახალი, უჩვეულო შთაბეჭდილებით დაბრუნდა ტაძრიდან. იგი შაბათ საღამოსაც წავიდა ეკლესიაში. ევგენი მარტო დარჩა. მაგიდიდან წიგნი აიღო და გადაშალა. ეს იყო **„ცხოვრება ღირსი მამის სერგი რადონეჟელისა, საკვირველმოქმედისა“**. აი, სურათებიც: ძველი კედლები, გუმბათები, ლუსკუმა წმიდა ნაწილებით. სერგი, სერგი... **„ჰო, მე ხომ ვყოფილვარ იქ!“** – გაიფიქრა ევგენიმ.

ანაზდად ხმა შემოესმა:

– ევგენი!

ეს, ალბათ, ცოლს დარჩა კარი ღია და ვიღაც შემოვიდაო, – გაიფიქრა.

– ევგენი, წამოდექი, შენ ჯანმრთელი ხარ!

საწოლის გვერდით უცნობი მამაკაცი იდგა, ხნიერი, თეთრწვერა, გრძელ, შავ სამოსელში.

– წამოდექი, ევგენი!

იგი პირდაპირ თვალებში უყურებდა ევგენის და მანაც იგრძნო, თუ როგორ აღივსო მთელი მისი არსება ახალი ძალით და წამოდგა.

– ევგენი! – კვლავაც მიმართა მას ალერსიანმა ხმამ, – დღეს ზუსტად ორი წელი შესრულდა! გახსოვს?

მოხუცი უხმაუროდ მოძრაობდა. ახლა ის უკვე ოთახის ბოლოში იყო.

– ახლა შენ სრულიად ჯანმრთელი ხარ, ღმერთს ჰმადლობდე! – ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც ევგენიმ გაიგონა. იგი შემოსასვლელისკენ გაქანდა. კარი გარედან ჩაეკეტა მეუღლეს...

როცა ცოლი შინ დაბრუნდა, ევგენი მუხლებზე დამხობილი დაინახა, მის წინ კი გადაშლილი წიგნი იდო. იფიქრა, საწოლიდან გადმოვარდაო, მივარდა, თვალებში ჩახედა და ძლივსღა იცნო – ევგენი ნათელი, არაამქვეყნიური თვალებით შესცქეროდა. მერე წამოდგა, გაიმართა, მოეხვია ცოლს და კვლავ მუხლებზე დაემხო მასთან ერთად გადაშლილი წიგნის წინაშე, საიდანაც მათ ღირსი მამა სერგი რადონეჟელი შემოსცქეროდა, საკვირველმოქმედი, დიდი კანდელი რუსეთის მიწა-წყლისა.

„ღირსო მამაო ჩვენო სერგი, ევედრე ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!“ – სიხარულითა და თრთოლვით ჩურჩულებდნენ ისინი.

აი, ასე სასწაულებრივად მოაქცია უფალმა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ათეისტი ევგენი და მისი მეუღლე...

გაზ. “საქართველო და მსოფლიო”

რკინის ფარდის რღვევა – თავისუფლება თუ ეროვნული ტრაგედია?

ამ კითხვას ბევრი მარტივად და დაუფიქრებლად უპასუხებს. ერთი შეხედვით, თითქოს აქ ისედაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ უფრო სიღრმისეულად თუ გავაანალიზებთ კითხვის არსს, შეიძლება, შეფასება რადიკალურად შეიცვალოს. საერთოდ, თანამედროვე პოლიტიკა „კრძალავს“ მარტივ აზროვნებას. აშკარაა, რომ სიმარტივე და უშუალობა პოლიტიკურ პროცესებში ყველაზე ცუდი ორიენტირია. ეს დასავლური პოლიტიკის სისტემის შემადგენელი ნაწილია. მასებს არ ჭირდებათ აზროვნება, მათ ინტელექტუალური პროდუქტი მზამზარეულად უნდა მიერთვას; უფრო მეტიც, მათთვის საშიშია მასების აზროვნება, რადგან ამ შემთხვევაში ხომ აეხდება ფარდა იმ პოლიტიკის ამორალურობას და სიმახინჯეს, რომელსაც ისინი ატარებენ. ზოგადად კი, უმჯობესია, ნებისმიერი საკითხის შეფასებისას, მხოლოდ და მხოლოდ, შედეგებიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ.

ის, ვინც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა და რკინის ფარდის რღვევა დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო, რა პასუხს გასცემს იმ მილიონ ადამიანს, რომლებიც საქართველოდან გადაიხვეწნენ და გოლგოთის გზას დაადგნენ საარსებო საშუალების საპოვნელად. საერთოდ სისტემის რღვევას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება და მისი, თუნდაც ერთი ასპექტის, შეფასება (საქართველოდან იძულებით ემიგრირებული ადამიანები, რომლებიც აქ დარჩენილთა მატერიალური უზრუნველყოფის თითქმის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ) საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მართლაც იყო საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფა და პირადად ჩვენთვის – ეროვნული ტრაგედია. არაფერს ვამბობ ასეულობით დანგრეულ და გაძარცვულ საწარმოებზე, რომლებიც ველური ბარბაროსობით გაანადგურეს (სხვათა შორის, მხოლოდ საქართველოში, თორემ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რესპუბლიკებში შენობა-ნაგებობები და სხვა მატერიალური **“კომუნისტური მემკვიდრეობა”** ხელუხლებელია, დაკონსერვებულია და იმ დროს ელოდება, როცა ინვესტორი გამოჩნდება და აამუშავებს – **“ილორი”**), როგორც **„დემოკრატიისათვის“** მიუღებელი საბჭოთა გადმონაშთი (თეორიულადაც კი ძნელი წარმოსადგენია მეტი ცინიზმი, როცა სააკაშვილი შადრევნებს და კარუსელებს დიდი ზარზეიმით ხსნის და ამ ფაქტს ლამის ეროვნულ დღესასწაულად წარმოგვიდგენს, დანგრეული საწარმოების ნაცვლად, მართლაც რომ კარგი კომპენსაციაა).

ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ საკითხის წმინდა მორალურ-ფსიქოლოგიური მხარე – ნებისმიერი ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე თანდათანობით აგებს ღირებულებათა სისტემას, აყალიბებს აზროვნების სამოქმედო პრინციპებს და, ბუნებრივია, მასში ნებისმიერმა მკვეთრმა ცვლილებამ შესაძლოა, გაანადგუროს ადამიანი როგორც პიროვნება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც უეცრად აღმოაჩენს, რომ ღირებულებათა მისეული სისტემა, რის გარეშეც მას არსებობა არ წარმოედგენა, ახალ რეალობაში არარაობაა და არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებელია მისი სწრაფი და დაუყოვნებლივი ცვლილება. მყარად ჩამოყალიბებული ცნობიერებისა და ყოფიერების ახალი პირობების ასეთი ფორმით ურთიერთობა ადამიანის ტრაგედიაა, ხოლო თუ ამ იძულებითი მიგრაციის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ეს ზოგადად ქართველი ერის ტრაგედიაა. ადამიანებმა, რომლებმაც შეიძინეს ცოდნა საბჭოთა წყობილების პირობებში და ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, აბსოლუტურად უფუნქციონი აღმოჩნდნენ ახალი **„დემოკრატიული“** რეჟიმის პირობებში. ძნელი შესაფასებელია ის დეპრესია, სულიერი ტრაგიზმი, როცა იძულებით მოწყდნენ ჩვეულ ცხოვრების წესს და მათთვის აბსოლუტურად უცხო გარემოში გადაიხვეწნენ. სწორედ ესაა სოციალდარვინიზმის აშკარა და თვალსაჩინო გამოხატულება. მაგრამ ყველაზე სავალალო ისაა, რომ ცხოვრების ახალი პირობები ახალ ფსიქოლოგიას აყალიბებს – ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას და ასე თანდათანობით ყალიბდება მოსამსახურე ერის ფსიქოლოგია. ჩვენი დასავლელი **„მეგობრების“** მიზანიც სწორედ რომ ესაა – საქართველო უნდა იყოს გასაღების ბაზარი და მოსამსახურე ერი. განათლება, მეცნიერება, კულტურა ჩვენთვის გამოუყენებელი **„მაღალი მატერიებია“**. საინტერესოა, რა შეფასებას უკეთებენ ასეთ მასშტაბურ მიგრაციას. თავისუფალი გადაადგილების პირობებში ყველას აქვს უფლება, აირჩიოს სამუშაო ადგილი და საცხოვრებელი; ცხადია, კომენტარი აქ სრულიად ზედმეტია. ერთი რამ ფაქტია, ქართული ეკონომიკის დღევანდელი, თუნდაც სავალალო, დონის შენარჩუნება სწორედ მათი – იძულებითი ემიგრანტების დამსახურებაა. სწორედ მათ მიერ გამოგზავნილი თანხები ტრიალებს ქართულ ეკონომიკურ სივრცეში, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა. იმ რეჟიმის ხელისუფლებაში ყოფნის თითოეული დღე და საათიც კი, რომელიც ქვეყანას მართავს, უარყოფითად მოქმედებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებზე; რატომ არ უნდა აგონ პასუხი ასეთი დანაშაულებრივი სისტემის შექმნისათვის ან კი რას წარმოადგენს ის სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თავის მოქალაქეს სამუშაო ადგილით და ელემენტალური საარსებო პირობებით? რის მაქნისია ან რატომ არ უნდა აგოს პასუხი ხელისუფლებამ, როცა მისი უნიათობით უამრავი ადამიანი XXI საუკუნის მონათმფლობელობის, ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს საქართველოში ყველაზე პატრიოტული საქმე არა პატრიოტული ბანაკების გახსნა, არამედ ამ ადამიანებთან მჭიდრო და აქტიური ურთიერთობა და მათი პრობლემებით აქტიური დაინტერესებაა, რაც ჩვენი ხელისუფლებისათვის, როგორც ჩანს, მეასეხარისხოვანია. მთავარია, შემუშავდეს მასშტაბური ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ მათი საქართველოში დაბრუნებისკენ, არამედ ყველაზე მთავარის – ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვისა და საზოგადოებაში კვლავ სრულფასოვანი ინტეგრაციისაკენ. ასეთი მნიშვნელობის ამოცანა, ეჭვგარეშეა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვისობრივად ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის პირობებში.

დავით ხუჭუა,
სამტრედია

რატომ მოკვდა „ამერიკული ოცნება“?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილის – იმიგრანტების რაოდენობა უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე პირველად შემცირდა. მსოფლიო მოსახლეობას „ამერიკული ოცნების“ აღარ სჯერა. შარშან აშშ-ში წინა წელთან შედარებით 100 ათასით ნაკლები მიგრანტი ჩავიდა. 2000-2006 წლების მონაცემებთან შედარებით იმიგრანტთა რაოდენობა განახევრდა, მაშინ აშშ-ში ყოველწლიურად მილიონი ადამიანი იწყებდა „ახალ ცხოვრებას“. ექსპერტების აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაა. ამ ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია მსოფლიოს ბევრი სამუშაო ადგილით მოაწონოს თავი.

ვინ გადაცურავს ევერესტს?

ბრიტანელმა ლუის გორდონ პიუმ გადაწყვიტა, მყინვარ კუმბუზე, ზღვის დონიდან 5,2 კილომეტრის სიმაღლეზე მდებარე ტბაში იცუროს. მყინვარი ჰიმალაის მთებში, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის – ევერესტის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. ამგვარად, პიუ იმედოვნებს, რომ ევერესტზე მცურავი პირველი ადამიანი იქნება.

მცურავი მხოლოდ საცურაო კოსტიუმის, ქუდისა და სათვალის ამარა ტბაში ერთი კილომეტრის გაცურვას აპირებს, მისი გათვლით, საამისოდ წყალში სულ 20 წუთით მოუწევს ყოფნა.

ბრიტანელის ამ თავგანწირვას პოლიტიკოსების გამოფხიზლების და კლიმატური ცვლილებებისადმი მათი მზერის მიპყრობის მიზანი ამოძრავებს. მეცნიერების აზრით, სულ რაღაც 25 წლის შემდეგ ჰიმალაის მყინვარები მთლიანად წყლად იქნება ჩამოღვრილი, დღეისათვის იქ ტემპერატურა უკვე მომატებულია ერთი გრადუსით.

2007 წელს პიუმ უკვე იცურა ერთი კილომეტრი 1,8-გრადუსიან წყალში ჩრდილოეთ პოლუსზე, ამას 19 წუთი მოანდომა და რეკორდიც დაამყარა. ეს ყველაზე ცივი წყალი იყო, რომელშიც ოდესმე უცურავს ადამიანს. გარდა ამისა, ეს ბრიტანელი მსოფლიოში ერთადერთია, რომელმაც მსოფლიოს ყველა ოკეანის გრძელ დისტანციებზე ცურვაში მონაწილეობდა და მთელი ტემზა გადაცურა.

კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

შემძრა აფხაზეთის მოვლენებმა, გარკვეული ძალები სარგებლობდნენ იმით, რომ საზოგადოებამ არ იცოდა სიმართლე აფხაზეთზე. მიუხედავად ჩემი სპეციალობისა და საქმიანობისა, იძულებული გავხდი, ხელი მომეკიდა აფხაზური საკითხისათვის და გამოვეცი:

– ნარკვევი **"ერის სატკივარი"** (ჟურნალი **"პოლიტიკა"**, 1995 წელი), სადაც გადმოცემული იყო ჩემი მოსაზრებები აფხაზეთზე, აფხაზებზე და იქ მიმდინარე პროცესების რეალურ არსზე.

– ბროშურა **"გვარები მეტყველებენ"** (თბილისი, 1997 წ.), სადაც აფხაზეთში გავრცელებული გვარების მეშვეობით ვამტკიცებდი, რომ დღევანდელ ე.წ. **"აფხაზ ერში"** 85-90 პროცენტი ქართული წარმომავლობის ხალხია, რა თქმა უნდა, მათ შორის ლაზებიც არიან.

– წიგნები **"დიდი საქართველოს ტრაგედია"** (თბილისი, 1998 წ.) და **"ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა"** (თბილისი, 2003 წ.), რომლებშიც საქართველოს ისტორიის ფონზე განხილულია აფხაზეთის ისტორია.

რამდენად სწორი ვიყავი, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ აფხაზურ თემაზე მუშაობამ დამარწმუნა, რომ მიზანშეწონილი იყო, საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიაში ლაზიკის როლზე და ქართველი ერის წინაშე ლაზების დამსახურებაზეც გამეზიარებინა საკუთარი მოსაზრებები. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს ისტორია, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში, აშკარად ნაკლებადაა შესწავლილი. ბუნებრივია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის – ლაზიკის საერისთავოს, შემდგომში სამეფოს (IV-VI ს.ს.) ისტორიაა შესასწავლი.

მჯერა, არ იუცხოებთ, შეურაცხყოფად არ მიიღებთ, გამიგებთ, რომ ამას თქვენდამი სიყვარული მაკეთებინებს.

განსაკუთრებით მერიდება თქვენი უხუცესების, **"აქსაკალების"**, მეშინია, ჩემი წერილი ჭკუის სწავლებად არ მიიღონ, ღმერთმა დამიფაროს, ამისთანა უტაქტობისაგან, ჩვენ მათ უდიდეს პატივს ვცემთ. მიგვაჩნია, რომ სწორედ მათი დიდი დამსახურებაა ლაზების ისტორიული მახსოვრობის შენახვა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

დარწმუნებული ვარ, დღესაც ისინი არიან ლაზების ეროვნული თვითშეგნების გადამრჩენი ბურჯები.

დიდი მადლობა მათ!

ჩემს წიგნში **"ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა"** შევეცადე, საქართველოს ისტორიაში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რეალური როლი და ერის წინაშე მეგრელების (კოლხების) დამსახურება წარმომეჩინა.

მასში, ლოგიკურია, გარკვეული ყურადღება გავამახვილე ლაზიკის და ლაზების როლზე საქართველოს ისტორიაში, მაგრამ თავს ნებას მივცემ, უფრო დაწვრილებით შევეხო ამ საკითხს.

საქართველოს ისტორია როდიდან იწყება, ძნელი დასადგენია, მაგრამ აღიარებულია, რომ ქართველი ხალხი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, შორეულ წარსულში, ცხოვრობდა ერთი ხალხი, რომელიც დღევანდელი ქართველების წინაპრად ითვლება.

ისტორიული მოვლენების შედეგად, ეს ხალხი დაიშალა და მის მემკვიდრეებად მოგვევლინენ იბერები (ქართლელები) და კოლხები (ეგრები).

სათანადოდ, პროტოქართული ენა ქართულ-მეგრულ-სვანურ ენებად დაიშალა.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა, თუ დადგინდებოდა, რა ენაზე მეტყველებდნენ ქართველთა წინაპრები, ძნელი სათქმელია, რომელ ენასთან აღმოჩნდებოდა ის უფრო ახლოს, ქართულთან, მეგრულთან, თუ სვანურთან. ყოველ შემთხვევაში, არსებობს რეალური საფუძველი ვიფიქროთ, რომ დღევანდელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართველებს საერთო წარმომავლობა აქვთ.

რაც შეეხება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიას, როგორც ანტიკური ეპოქის ისტორიული წყაროები გვამცნობენ, იგი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ეპოქით (ძვ. წ.აღრ. II ათასწლეული) იწყება.

დადგენილია, რომ ბერძნებმა ეგრისის სამეფოს კოლხეთის სამეფო დაარქვეს და ეგრისის მკვიდრ მოსახლეობას, ეგრებს (მეგრელებს) – კოლხები.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ცნობილია, რომ ანტიკურ ეპოქაში ბერძნებმა მთელ რიგ სახელმწიფოებს დაარქვეს სახელები და ისტორიაში ისინი ამ სახელებით დარჩნენ.

მართლაც, ანტიკური ეპოქის ბერძენი მოღვაწეები, ეგრისის სამეფოს კოლხეთად მოიხსენიებდნენ, ხოლო ქართველი და სომეხი მოღვაწეები, დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს, ყოველთვის, მხოლოდ ეგრისს უწოდებდნენ და მის მოსახლეობას მეგრელებს.

ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, რომელიც, II ათასწლეულის შუა საუკუნეებში, უკვე ითვლებოდა იმ ეპოქაში ისტორიულ ასპარეზზე გამოსული მოწინავე სახელმწიფოების ელიტის სრულუფლებიან წევრად.

მაშინდელი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს დიდ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს იმ ეპოქის სპარსეთის, ასურეთის, ურარტუს და სხვა დიდი სახელმწიფოების მეფეთა მიერ დატოვებული წარწერები, მათ მიერ გადახდილ ომებზე კოლხეთის (ეგრისის) დიდ სამეფოსთან, ხოლო ანტიკური ხანის მოღვაწეები მას მოიხსენიებენ ისეთი დიდი სახელმწიფოების პარტნიორად, როგორებიც სპარსეთი, საბერძნეთი და სირია იყვნენ.

იმ ეპოქის კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს პოპულარობაზე მეტყველებს ბერძნების მიერ შექმნილი მითი პრომეთეზე და ლეგენდა-თქმულება არგონავტებზე.

ბერძნული მითის მიხედვით, მათი ეროვნული გმირი პრომეთე მიჯაჭვულია კავკასიის ქედზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბერძნებმა, უკვე შორეულ წარსულში იცოდნენ საქართველოც და კავკასიაც.

ბერძნული თქმულება არგონავტებზე გვამცნობს, რომ მეფისწულ იაზონის თაოსნობით, კოლხეთში (ეგრისში) **"ოქროს საწმისის"** წასაღებად მოსულან ბერძენი მეომრები და გაოცებული დარჩენილან, როდესაც მდიდარი და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა, ღირსეული მეფე აიეტი და მისი უმშვენიერესი, ბრძენი ასული მედეა უხილავთ.

ბერძენ მეცნიერთა ვარაუდით, **"ოქროს საწმისი"** უნდა ყოფილიყო ბატკნის ტყავზე ნაწერი ოქროს მოპოვების წესი, რასაც ბერძნები **"კირიბიშად"** (**კირიბი** – მეგრულ ენაზე ბატკანს ნიშნავს) მოიხსენიებდნენ და იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ საბერძნეთის პირველ სახელმწიფო კანონში პარაგრაფებს **"კირიბიშებს"** უწოდებდნენ. ეს აძლევთ მეცნიერებს საფუძველს ივარაუდონ, რომ იმ ეპოქაში კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ.

ამ მოსაზრებას ანგარიშგასაწევს ხდის ჰეროდოტეს (ძვ. წ.აღრ.V საუკ.), და აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ.აღრ. IV-III ს.ს.) და სხვა მოღვაწეთა ცნობები, რომ კოლხებს (მეგრელებს) დამწერლობა ჰქონდათ.

უფრო მეტი, ანტიკური წყაროები გვამცნობენ, რომ კოლხებს (მეგრელებს) ჰქონდათ ე.წ. **"კვირბები"** (ეტყობა ესეც **"კირიბის"** ნაირსახეობაა), რომელზეც აღნიშნული იყო საზღვაო გზები, რის გამოც იმ ეპოქის სწავლულები თვლიდნენ, რომ კოლხებს საზღვაო რუქები ფინიკიელებზე და ბერძნებზე ადრე ჰქონდათ და იქვე ასკვნიან – ამ **"კვირბების"** პატრონ ხალხს, თითქოს, გამორიცხულია დამწერლობა არ ჰქონოდა.

ეს რამდენად რეალურია, სხვა საკითხია, მაგრამ, როდესაც ამას ანტიკური ეპოქის დიდი სწავლულები ამბობდნენ, ეს უაღრესად ღირებულია, ჩვენი ღირსეული წინაპრების მიღწევათა აღიარებაა.

სხვათა შორის, ბერძნებს სხვა ერებზე არ შეუქმნიათ ესოდენ დიდებული მითი, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცნობდნენ იმ ეპოქის მოწინავე ქვეყნებს.

საბერძნეთში მედეას სამედიცინო განსწავლულობას იმდენად დიდ შეფასებას აძლევდნენ, რომ ტერმინ **"მედიცინის"** შემოღებას მედეას სახელს უკავშირებენ.

იმ ეპოქაში, როდესაც ეს მითი შეიქმნა, საბერძნეთი არ იყო ერთიანი, იყვნენ ქალაქი-სახელმწიფოები; ვარაუდობენ, თითქოს ბერძნებს სურდათ კოლხეთის (ეგრისის) ერთიანი სამეფოს წყობას და კულტურას გასცნობოდნენ.

ლოგიკურია ვიფიქროთ, მათ ამის საფუძველს აძლევდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილე, მით უმეტეს, ცნობილია, რომ ბერძნები მითების საფუძვლად იღებდნენ რეალურ მოვლენებს, რაც გერმანელი არქეოლოგის შლიმანის გათხრებმა დაადასტურეს, როდესაც მითებზე დაყრდნობით, ქალაქი ტროა აღმოაჩინა.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, თქმულება არგონავტებზე შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეებში და ფიქრობენ, რომ სწორედ მაშინ უწოდეს ბერძნებმა ეგრისს კოლხეთი და ეგრებს (მეგრელებს) კოლხები.

დიდმა ჰომეროსმა ეს თქმულებაც იცოდა და ის ქვეყანაც, რომელზეც მისმა წინაპრებმა ეს თქმულება შექმნეს.

ამ თქმულებას ისტორიული ღირებულება რომც არ ჰქონოდა, მაინც აშკარად მეტყველებს იმ ეპოქის კოლხეთის (ეგრისის) ავტორიტეტზე. ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი თავის ნაშრომში "**ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემები" (თბილისი, 1988 წ.) წერს: "ერის ერთიანობას განსაზღვრავს ერის ისტორიული მახსოვრობა და ქართველი ერის მახსოვრობას შემორჩა, როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო, კოლხეთის** (ეგრისის) **დიდი სამეფო, რაც იძლევა საშუალებას, ქართული ეთნოსის შექმნაში კოლხეთს** (ეგრისს) **მიეცეს უპირატესობა".**

კავკასიის ალბანეთი კავკასიის სინამდვილეში წარმოჩინდა ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში და მდებარეობდა იბერიის სამეფოს აღმოსავლეთით, კასპიის ზღვამდე. დღეს მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანის საზღვრებშია, ხოლო ნაწილი საქართველოს და სომხეთის საზღვრებში.

ალბანები, ისევე როგორც იბერები (ქართლელები), IV საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ.

მართალია, სპარსებმა ალბანეთში, ისევე როგორც სომხეთში, მეფობა გააუქმეს, მაგრამ მან IX-X საუკუნეებამდე იარსება, სანამ თურქ-სელჩუკებმა ალბანეთის ტერიტორიის ანექსირება არ მოახდინეს და იქ აზერბაიჯანის სახელმწიფო არ ჩამოაყალიბეს. სათანადოდ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ალბანებმა ასიმილაცია განიცადეს და, დღეს, ისინი კანონზომიერად ითვლებიან აზერბაიჯანული ეთნოსის ერთ-ერთ შემოქმედად.

ალბანეთის ის კუთხე, რომელიც ესაზღვრებოდა, ანუ ჰერეთი, საქართველოს შემადგენლობაში მოექცა და იარსება თითქმის XIV-XV საუკუნეებამდე, შემდგომში კი ქართლ-კახეთის სამეფის შეერწყა.

სამწუხაროდ, ალბანეთის ისტორია სათანადოდ შესწავლილი არ არის და არც ალბანების ვინაობაზე არსებობს ერთმნიშვნელოვანი აზრი. მართალია, ქართველ მეცნიერთა ნაწილი ალბანებს ქართველების მონათესავე ხალხად მიიჩნევს, მაგრამ ალბანებზე მეცნიერული კვლევა ამაზე შორს არ წასულა.

არადა, ამჟამად აღმოჩენილია შესანიშნავი წყარო, რომელიც გვამცნობს, თუ ვინ იყვნენ ალბანები – თურმე არსებობს IX საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედია, რომელშიც წერია – **"ალბანები მეგრელები არიან"**.

ალბათ, ამ წყაროს ეყრდნობოდა IX საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე ევდოკია (იგივე მაკრემბოლიტისე), რომელიც ასევე წერს, რომ ალბანები მეგრელები არიან.

ცნობილია, რომ თუ რაიმე ღირებული ისტორიული წყაროები არსებობს უძველეს კოლხეთზე (ეგრისზე) და კოლხებზე (მეგრელებზე), ეს, ძირითადად, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური წყაროებია.

სხვათა შორის, ბიზანტიელები წლობით ცხოვრობდნენ საქართველოში და შესანიშნავად იცნობდნენ აქაურობას.

მათი ობიექტურობა ეჭვს არ იწვევს, მით უმეტეს, გამორიცხულია, რომ ბიზანტიელი მოღვაწე, რომელმაც ეს ცნობა ენციკლოპედიაში შეიტანა, ტენდენციური ყოფილიყო.

აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: როგორც ცნობილია, ბერძნები ეგრისს ყოველთვის კოლხეთს უწოდებდნენ და ეგრისელებს (მეგრელებს) კოლხებს, ხოლო ბიზანტიელები მათ მოიხსენიებდნენ ლაზიკად და ლაზებად.

რადგანაც ბიზანტიელი სწავლული მაინც მეგრელებს ახსენებს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მან შესანიშნავად იცის, დასავლეთ საქართველოს ერთიანი სამეფო კოლხეთად იწოდებოდა, ლაზიკა თუ აფხაზეთად, მისი მკვიდრი მოსახლეები ყოველთვის მეგრელები იყვნენ.

ბიზანტიელი სწავლულის მოსაზრებას ალბანების ვინაობაზე, ერთგვარად ამაგრებს ცნობილი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის ნაშრომი **"მეგრული (იბერიული)ენის გრამატიკა"** (სანქტ-პეტერბურგი, 1914 წელი).

აქ ის ეხება მეგრული ენის გავრცელების არეალს და აღნიშნავს, რომ მეგრული ენა გავრცელებული იყო, არა მარტო იმერეთ-გურიაში, არამედ სამეგრელოდან ისეთ დაშორებულ რეგიონშიც, როგორიც საინგილოა.

საინგილო, ალბანეთის დასავლეთი ნაწილია, რომელიც ჰერეთის საზღვრებში იყო (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე).

აქ ვნახულობთ ბევრ მეგრულ ტიპონიმებს, სიტყვებს, გამოთქმებს, ქართულად წერისას მეგრული ენის გავლენას და ა.შ.

ამ მოვლენას ბატონი იოსებ ყიფშიძე ხსნის იმით, რომ, შორეულ წარსულში, აღინიშნა მეგრელების მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოში.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს (ძვ. წ.აღ. V საუკ.) ცნობას, რომ ტერიტორია მეწამული ზღვიდან ფაზისამდე, სპარსებს, მიდიელებს, სასპერებს და კოლხებს უჭირავთ, სრულიად დასაშვებია, კოლხეთის ქვეშ ვიგულისხმოთ მთელი სამხრეთი კავკასია; მით უმეტეს, რომ ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, თუ ვინ ცხოვრობდა ტერიტორიაზე ლიხის ქედიდან კასპიის ზღვამდე, ძვ. წელთაღრიცხვის ეპოქის თითქმის IV საუკუნემდე. ყოველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიდან ქ. ლაზიკამდე (შემდგომში ნიკოფსია, დღევანდელი ქ. ტუაფსეს მიდამოები).

ანზორ შონია,
"ფაზისის" აკადემიის წევრი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

შიკრიკი მაშინვე გენერალთან ვაფრინე. ვთხოვე, რომ ასი ყაზახ-რუსი, ერთი როტა სახაზო ბატალიონისა ნახუნუში გამოეგზავნა. ნახევარ საათს უკან, ესე იგი, გათენებამდე, საშინელს თავსხმაში, ნაბადი წამოვისხი, ყაბალახი მოვიხვიე, რამდენიმე იასაული, ყაზახ-რუსები და თარჯიმანები ვიახლე და ბანძის გზით ნახუნუსკენ გავწიე. დაწვრილებით აღწერა ამ მოგზაურობისა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, უფრო მივცურავდით, ვიდრე მივდიოდით. ზოგან ისეთი ღელეები შეგვხვდებოდა გასავლელი, რომ თუ არ ერთად შეჭუჭკვილი, თითო-თითოდ გასვლას ვერა ვბედავდით. ზევიდან წვიმა კოკისპირულად გვასხამდა. თან, თოვლსაც გამოურევდა, მერე ისეთსა, რომ მაშინვე დნებოდა. საღამომდე, როგორც იყო, გავიარეთ ოც და ათის ვერსის მანძილი და ბანძაში შევედით. მაგრამ ვაი იმ მისვლას: დამშეულები, დატანჯულები და სიცივისაგან გათოშილები ვიყავით ყველანი.

მშრალი არაფერი შეგვრჩენია ტანზე. ბახვა ფაღავას სახლი, სადაც ჩვენ მიგვიყვანეს, სამოთხედ მეჩვენა; ბუხარში დიდი ცეცხლი გუგუნებდა, ხურჯინებიდან მშრალი ტანისამოსი ამოვაღებინე და სველი ტანისამოსი გამოვიცვალე, მაშინვე მომიტანეს ჩაი, მერე ვახშამი მოაყოლეს, ზედ დაუმატეს ღვინო. ყოველივე ეს ნეტარება იყო ჩემთვის და იმ ღამეს მკვდარსავით დამეძინა. მეორე დღეს დილაადრიან ისევ გზას გავუდექით, ნახუნუმდე თვრამეტი ვერსი გვიკლდა. წვიმა წინადღესავით საშინლად ასხამდა.

შუადღეა რომ მიატანა, ნახუნუს მივუახლოვდით. ამ დროს სენაკიდან მომავალი ასი ყაზახ-რუსი დავინახეთ. ესენი ჩემთან კორნეტს თავად ნაკაშიძეს მოჰყავდა. შევიყარენით ერთად. ნაკაშიძემ მიამბო, კოლუბიაკინი მძიმედ ავად არისო, რაღაც იარა გამოაჩნდა და ექიმმა უბრძანა, ლოგინში უნდა იწვეს და არ გაინძრესო. თქვენთან წერილის მოწერა არ შეეძლო და ჩემის პირით შემოგითვალათ, ყოველი ღონე იღონეთ, მეამბოხენი ალაგმეთ და მიზეზები, შეიტყოთ თუ არა, მაცნობეთო.

ნახუნუ მთა ალაგას არის: ჩვენ რომ შევედით, თოვლი იდო, ასე რომ წვიმას გამოვეთხოვეთ და პირდაპირ ზამთარში შევყავით თავი. კავკასიაში ასეთი უცები ცვლილებანი ბინებისა დიდად გასაკვირველი არ არის.

ნახუნუ თავისი მდებარეობით და აქაიქ გაბნეული სახლებით კაცს კინჩხას მოაგონებს, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი მესამე თავში. შიგ სოფელში რომ შევედით, ხელოსნების მონახვა ძალიან გაგვიჭირდა. სოფლელნი, ბრალეულ შეგირდებივით, მთებში დამალულნი. შეგიყვანეს ერთს ცარიელ და კარგა მოზრდილ ქოხში, სადაც დიდი ცეცხლი დავანთებინე მაშინათვე, აქავე მოვიდა ჩემი თანაშემწე კულვანოვსკი, ხოლო საღამო ხანს მოატანა სახაზინო ბატალიონის ერთმა როტამ, რომელსაც მოუძღოდა პორუჩიკი კრიტსკი. ამათ მოჰყვებოდნენ ორი გენერლის იასაული, ძმანი თეიმურაზი და სიკო თოფურიები, ყოჩაღი და მარჯვე ყმაწვილები; ორივე მეტის-მეტად გამომადგნენ შემდეგში. თუ რაში, ამას მოგვიანებით მოვყვები.

კულვანოვსკისა და ხელოსნებისაგან ჯერჯერობით მარტო ის შევიტყვე, რომ გლეხების აჯანყების მიზეზი მებატონეთა უკანონო საქციელი ყოფილა, მაგრამ სახელდობრ რა ქნეს მებატონეთა – ძნელი შესატყობი იყო. აუცილებელი საჭირო იყო შემეკრიბნა მთებსა და ტყე-ღრეში დამალული ხალხი და ყველაფერი მათგან შემეტყო. მე თვითონ არ შემეძლო მათთან ლაპარაკი და მოციქულებად ძმანი თოფურიები დავაყენე. ჩემი მოციქულები მეორე დღესვე წავიდნენ მაღლა მთებში და საღამოზე შემდეგი ანგარიში წარმომიდგინეს თავიანთის მოციქულობისა.

ხალხი ჰგრძნობს, რომ დამნაშავეა, ეშინია შინ დაბრუნებისა. – მითხრეს იასაულებმა თოფურიებმა,– და ამბობს, თუ პირობას მოგვცემთ, რომ განურჩევლად ყველას არ დაგვსჯით, გამოვცხადდებითო. როგორც თეიმურაზ თოფურიამ მითხრა, ხალხის აჯანყების მოთავე ერთი გლეხი ყოფილა, ვინმე ბასაია. თეიმურაზს უთქვამს, წამოდი უფროსთანო, მაგრამ ბასაიას მოუთხოვნია, ჯერ ეკლესიაში ხატზე დაიფიცე, რომ ციმბირში არ გამგზავნიან და მერე დამიძმობილდიო.

დაძმობილებას იგივე ძალა აქვს სამეგრელოში, როგორც შვილად მოკიდებას, რომლის შესახებ ჩვენ შემთხვევა გვქონდა მეოთხე თავში გვეთქვა ორიოდ სიტყვა, როცა დედოფლისა და ჯამსუხ დადეშქელიანის დანათესავების შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ორსავე შემთხვევაში დადებულ ლოცვას ამბობენ. თეიმურაზმა მთხოვა ბასაიას დაძმობილებოდა, მაშინ უფრო გავარიგებ საქმეებსაო. მე ნება დავრთე, იმანაც გაიყოლია მღვდელი და საღამოს ეს მელოდრამატული შეთქმული ჩემს კარავში მომიყვანა. ამ დღეს ნახუნუში რამდენიმე ფაღავაც მოვიდა.

ბასაია შუა ტანის, ასე ოცდაათის წლის კაცი იყო, წითური თვალები დიდი და მაცდური ჰქონდა. მეტად ალერსიანად დავუხვდი, როგორც თეიმურაზ თოფურიას ძმობილს. თითონ ცეცხლისპირას დაჯდა და ნაკაშიძე ჩვენს ნათქვამსა სთარგმნიდა. თუ მეტი არა, ხუთი საათი მაინც ველაპარაკებოდით ამ კაცს, ხოლო კულვანოვსკი სწერავდა მისი ნათქვამის იმ ნაწილს, რომელსაც უფრო მნიშვნელობა ჰქონდა. აშკარა იყო, რომ ეს გაიძვერა და ქვეყნის დამქცევი კაცი გაკერპდა და ერიდებოდა პირდაპირის პასუხის მოცემას. ყოველს სიტყვას, სანამ იტყოდა, კარგად ასწონავდა და ისეთს უმნიშვნელო რამეს მიჰკიბ-მოჰკიბავდა, რომ საქმის ვითარებას უფრო აბნელებდა და ხლართავდა. მაგრამ ჩვენ იობის მოთმინებით აღვიჭურვენით და ისე ვისმენდით მის აბდა-უბდა ლაპარაკსა. მაინც, როგორც იყო, გავუგენით გზაკვალი მის ნათქვამსა და ცოტ-ცოტად გავიგეთ, რის შეტყობაცა გვწადდა.

ბასაია თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე დაგვიხატა განსაკუთრებული პირობები სამეგრელოს ბატონ-ყმურის დამოკიდებულებისა. გავიგეთ, რომ ბასაია, ჯერ ისევ პატარაობისას, ბატონის სასახლეში ფარეშად ყოფილა. მერე ბატონს ცხენებისა და შინაურ საქონლის ქურდობა უსწავლებია, შემდეგ, როცა ქურდობაში კარგად გაწვრთნილა, ბატონთან ერთადა ქურდობდა თურმე.

მართალია, ბატონთან ერთად მოქმედობდა, მაგრამ ბატონი მაინც უსვინდისოდ ექცეოდა ნაქურდალის გაყოფის დროს: დიდი ნაწილი ბატონს მიჰქონდა და პატარას ბასაიას მიუგდებდა; როცა საქონლის პატრონი მათ სახლში მიიტანდა დაკარგულის საქონლის კვალს, ბატონი იტყოდა, ბასაიას მოუპარავსო, თვითონ ჯვარსა და ხატზე ფიცულობდა, ქურდობაში წილი არ მიდევსო. მდივანბეგი ბასაიას ცემით სულს ართმევდა ქურდობისათვის, იძულებულს ჰყოფდა, რაც მოიპარა, შვიდი იმის ფასი გადაეხადნა. მეტი გზა არ იყო, ხელახლა უნდა ექურდნა ბასაიას და თუ ბატონს რასმე დაუმალავდა თავის სასარგებლოდ, ხუნდებს გაუყრიდა და ასე ჰყავდა მთელის თვეობით. ყველა კუთხეები სამეგრელოსი, იმერეთისა, აფხაზეთისა ბასაიამ დაწვრილებით იცოდა და ერთგან ცხენს რომ მოიპარავდა, უხიფათოდ მეორეში ამოაყოფინებდა თავსა. **“ბუნტობის”** დროს (ესე იგი შარშანდელი აჯანყება), ბატონს გაექცა ბასაია და ყაჩაღად იყო გავარდნილი: ამ დროს ბევრჯერ უყრია ბატონების ჯავრი და ეს უკანასკნელნი ნახუნუში შემოსვლას ვერა ჰბედავდნენ. ბოლოს, რუსები მოვიდნენ, აჯანყებული ხალხი დააჩუმეს, ნამდვილი სამართლობა აღგვითქვეს და მშვიდობა ჩამოვარდა; მაგრამ ამ სამი კვირის წინად მაჭარი გაჩნდა, მოვიდნენ ბატონები ძველებურად და გლეხებს საჭმელ-სასმელი მოსთხოვესო. – “როცა, ბოლოს, – სთქვა ბასაიამ, – თავი მოგვაბეზრეს, ჯერა ვთხოვეთ, თავის-თავად წასულიყვნენ პატიოსნად, მაგრამ წასვლის მაგიერ, დაგვემუქრნენ, რუსებს მოვიყვანთ და თქვენთვის სულს ამოვართმევინებთო; გვითხრეს, ჩვენ ჭკუაზე უნდა მოგიყვანოთ, ყველაფერს უფროსს შევატყობინებთო. ვხედავდით საქმე ცუდად იყო და ის იყო უმდა დავმორჩილებოდით. ამ დროს ერთმა მებატონეთაგანმა, თავადმა გიორგი ფაღავამ, რომელიც თავის გლეხების სახლში სცხოვრობდა, ამ გლეხის ორს 9-10 წლის ქალს ჩუმად წითელი აბრეშუმის ნაჭერი შემოახვია კისერზე. ძველად ბატონი რომელ ქალსაც კისერზე წითელ აბრეშუმის ნაჭერს შემოახვევდა, ის ქალი მისი მოახლე ხდებოდა და შეეძლო მაშინათვე სახლში წაეყვანა. ქალების მამამ ეს ამბავი გაიგო თუ არა, სოფელში ხმამაღალი ყვირილი გააბა:

“ძმებო! მიშველეთ, ბატონებს უნდათ ისევ ძველებურად მოგვექცნენო”. ყველამ მოირბინა, მათ შორის მეც მივედი. ქალების კისერზე აბრეშუმის ნაჭრები რომ დავინახეთ, ვეღარ მოვითმინეთ და ფაღავებს ყველას განურჩევლად დავუშინეთ. სწორედ ამ დროს სოფელში ვიღაც რუსი მოვიდა, თან რამდენიმე ყაზახ-რუსი მოსდევდა. დაგვიწყო ყვირილი. ჩვენა ვთქვით, ეტყობა ბატონების მხარე უჭირავსო და ვიფრინეთ, ხელი კი არ გვიხლია. ყაზახ-რუსს კი, მართალია, მოხვდა, მაგრამ იმისი ბრალი იყო, – მათრახებით დაგვიწყო ცემა. ცხენი ხელში ჩაგვიტოვა და თითონ კი თავს უშველა...”

აი, მოკლედ ის ამბავი, რომელიც ხუთი საათის ლაპარაკის შემდეგ, მე და ნაკაშიძემ ბასაიასგან გავიგეთ. მე არ ვიცოდი, რა სიტყვებით გადამეხადნა მადლობა ნაკაშიძისათვის, რომელმაც ბასაიას ამდენს აბდა-უბდა ლაპარაკს გაუძლო, მაგრამ საქმის შინაარსი მაინც გავიგეთ. საქმე ის გახლდათ, რომ თავად ფაღავებს მძიმედ სჩვენებიათ ძველის ჩვეულების მოშლა, – ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. – დაჰვიწყებიათ ამ რამდენისამე თვის წინედ მომხდარი ამბავი და მოუნდომებიათ ძველთა დამოკიდებულებათა აღდგენა. სასტიკად აკრძალული ჰქონდათ ფაღავებს თავის გლეხებთან ევლოთ და მათს სახლებში ესვათ და ეჭამნათ, მაგრამ ესენი მაინც წასულან ნახუნუში და გლეხებისათვის საჭმელ-სასმელი მოუთხოვნიათ. ერთს მათგანს, გიორგი ფაღავას, ეს არ უკმარებია და მოუნდომებია მოახლეების წამოყვანა, რომ მერე ორივე ქალი სხვებისთვის მიეყიდნა.

ყველაფერი რომ გამოვკითხე, ბასაია მისს ძმობილს, თეიმურახ თოფურიას ჩავაბარე და ვუბრძანე მეორე დღეს დილით ისევ მოეყვანა ჩემთან. ჩვენ კი ვივახშმეთ და დავწექით დასაძინებლად. მაგრამ ვაი ასეთ დაწოლასა! სახლში ყველა მხრიდან ქარი უბერავდა, გარედა ჰყინავდა, ცეცხლი ჩაქრა. ხმელ ფიცრებზე ვეყარენით ტანგაუხდელად და ზევიდან ნაბდები და საბნები გვეხურა. მე, ნაკაშიძემ და კულვანოვსკიმ მთელი ორი კვირა გავატარეთ ამ ქოხში და მთელი დრო ასე ვიტანჯებოდით.

მეორე დილას ბასაიას ვუბრძანე მთებში წასულიყო და სოფლელნი ჩამოეყვანა. რაც უფრო დაიგვიანებენ, მათთვის უარესი იქნება-მეთქი. ვუთხარი: სახლებში ყველას ეკზეკუციად ჩავუყენე ერთი როტა სალდათებისა და ასი ყაზახ-რუსი, ესენი მანამ იქმნებიან აქ და მანამ სჭამენ და სვამენ გლეხების ქონებასა, სანამ ყველანი უკლებლივ ჩემთან არ გამოცხადდებიანმეთქი.

საქმეს ყველაფერს გავარჩევ, ვინც დამნაშავე იქნება, რა თქმა უნდა, შუბლზე არ ვაკოცებ, მაგრამ არც გავანაწყინებ – რაც შეიძლება მალე გამოცხადდნენმეთქი.

ბასაია წავიდა და გლეხებმა ცოტ-ცოტად ჩამოდენა იწყეს. ჩემთან კი იასაულებს მოჰყავდათ ჩამოსულები.

ამ საქმის ძიებამ დიდს ხანს გასტანა. მთელი ერთი ოზმა ქაღალდი მოუნდა ყველაფრის დაწერას. ყველანი სწერდნენ და გენერალმა ერთი მარჯვე მწერალი, ვინმე ვასილიევიც, მოგვაშველა. მთელს სოფელში სულ სამასი კომლი გლეხი ესახლა და მათ შორის ფაღავების ცემა-ტყეპაში მონაწილეობა მიუღიათ ორმოცამდე კაცს.

თავადი ფაღავები ამ საქმეში თავის თავს დამნაშავედ არც კი სთვლიდნენ. მათის აზრით, ღმერთმა გლეხები ფაღავებისთვის გააჩინა ისე, როგორც ადამიანისთვის ძროხა, ცხენი და სხვა პირუტყვი შექმნაო. პირუტყვს ხანდიხან თავი დაავიწყდება და ურჩობას მოინდომებს, მაგრამ ჯოხით სცემენ და დააჭკვიანებენ, ამნაირადვე უნდა მოექცეს კაცი გლეხსაო. **“რუსები ახლა ნებას არ გვაძლევენ ჩვენ თვითონ დავსაჯოთ ხოლმე გლეხები,– ამბობდნენ ისინი,– მაგრამ ერთხელაც იქნება, მობეზრდებათ მათი პატრონობა და მაშინ უკან დაგვიბრუნებენ; მხოლოს ის არ გვესმის, ამდენ ხანს რატომ აჭიანურებენ საქმეს და თავს რად იწვალებენ; იქნება, იმასა ჰფიქრობენ, ეს პირუტყვები ადამიანებად აქციონ? ძალიან შემცდარნი ბრძანებულან, თუ ასე ჰფიქრობენ!.. ჩვენ რომ ჩამოგვციებიან, თავიანთის გლეხების ამბავს რატომ არ იკითხავენ? იმათში გლეხები ბატონებს ათჯერ მეტად ემსახურებიან ჩვენებურს გლეხებზე. მერე ეს გლეხები სალდათებად აქციეს და უსულღმერთოდ სცემენ. აბა ერთი რას გვიშვებიან ჩვენ ახლა? რასა და თავის ყმებს ჩვენის ყმების სარჩო-საბადებელს აჩანაგებინებენ, და ამას ეკზეკუციას ეძახიან! ამით ხომ ჩვენ გვაძლევენ ზარალსა! წინად ასეთი რამე რომ გაებედნათ გლეხებს, მეთაურებს დავიჭერდით და აჯანყებისათვის აფხაზეთში გავყიდდით, არც ზარალი რამ მოგვეცემოდა. ახლა კი ჩვენს გლეხებს სალდათები მიუსიეს და თანაც გაიძახიან, – გლეხებსა ვსჯითო, ამიტომ რომ, რაც ჩვენ შეგვეძლო შეგვეჭამნა, იმას სალდათები სჭამენ და აოხრებენ. ეს ნამდვილი უსამართლობაა!.. სალდათები ქვევრებს მარტო გლეხებს კი არ უცარიელებენ, ჩვენს ღვინოსაცა სვამენ. ამიტომ, რაც ღვინო დალიეს, იმისი ფული მაინც მოვთხოვოთ”.**

ესა სთქვეს, არხეინად ანგარიში წარმომიდგინეს და 120 მანეთი მომთხოვეს: თქვენმა სალდათებმა ამდენი ღვინო დალიეს ჩვენი ქვევრებიდანაო.

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს **კლიმენტი შელია**ს *წიგნიდან "კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე". როგორც შევიტყვეთ, მალე სრულიად საქართველო იზეიმებს ღვაწლმოსილი, მხცოვანი მეცნიერის დაბადების იუბილეს, რომლის თაობაზეც დამატებით ინფორმაციას მივაწვდით ჩვენს მკითხველს. მანამდე კი, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შესაშურ ჯანმრთელობას ვუსურვებთ დიდ მეცნიერსა და ერის ღირსების სადარაჯოზე რაინდულად მდგარ ბატონ* **კლიმენტ**ს

ბევრ მკვლევარს არ სჯერა მეგრული და სვანური ენების წარმოშობის შესახებ არსებული ვერსიები, რომ ქართულ ენას ჯერ სვანური გამოეყო, შემდეგ – მეგრული. შეიძლება საერთოდ ენიდან ენის გამოყოფა? ანდა, როგორ შეიძლება ის, რომ **"გამოყოფილი"** მეგრული ენის ლექსიკური მარაგი მრავალჯერ აჭარბებს გამომყოფელი ენის – ქართული ენის ლექსიკურ ერთეულს?

ქართული ენის 8-ტომიანი განმარტებითი ლექსიკონი 113 ათასამდე სიტყვას მოიცავს. რუსულ ასეთივე 20-ტომიან ლექსიკონში 125 ათასამდე სიტყვაა შესული. მეგრულ ენას ამ მხრივ ბადალი არ მოეძებნება მსოფლიო ენებს შორის. პროფ. მ. ძაძამია და ც. ძაძამია წერენ, რომ მეგრული ენა სულ მცირე 10 მილიონამდე (10 მილიონზე უფრო მეტიც) სიტყვას მოიცავს (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, სიტყვაწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი, თბ. 2003, გვ. 55). გაანგარიშება უთუოდ მიახლოებითია. **"ეს ფაქტი მართლაც დაუჯერებელი, ზღაპრულად ჩანს, მაგრამ იგი რეალურია და ამდენად ჯიუტია"**, – ამბობენ ავტორები. გარდა ამისა, მეგრული მეტყველება ეპითეტური, ანუ ხატოვანი ზმნების გასაოცარი სიმდიდრით და მრავალფეროვნებით ხასიათდება. მაგალითად, მოძრაობის გამომხატველი ზმნის **"გეგნორთ"**-ის (გადავიდა) ხატოვანი ფორმები 3.200-მდე ლექსიკურ ერთეულს შეადგენს, რომელიც დამყარებულია 1.700-მდე თანხმოვან ძირზე (სხვა მეტი მაგალითი არ მოგვყავს). მეგრულში ძნელად მოსაძებნია ზმნა, რომელსაც ხატოვანი ფორმები არ გააჩნდეს (მამანტი ძაძამია, მეგრული დიალექტი, თბ. 1991).

ესეც დაუჯერებელს გავს, მაგრამ ფაქტია, – წერენ მ. ძაძამია და ც. ძაძამია. – **"ანალოგიურად, მეგრულში, მარტო ლაპარაკისა და ჭამის გამომხატველი სინონიმური ზმნები ზმნისწინებიანი ფორმებითურთ, ცალ-ცალკე, დაახლოებით 100-100 ათასამდე ლექსიკურ ერთეულს ითვლიან; ათეულობით ათას ლექსიკურ ერთეულს ითვლიან ცემის და სმის გამომხატველი სინონიმური ზმნები და ა.შ. ყოველივე ამის შემდეგ, უთუოდ ღიმილის მომგვრელია აღტაცება ერთ-ერთი ავტორისა, იმის გამო, რომ ზანგთა ტომ "ევე"-ს ლექსიკაში საგნის მოძრაობის გამომხატველი 83 ზმნა იძებნება. სხვა მრავალი დაუჯერებელი ფაქტის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ მდიდარი ლექსიკა გააჩნია მეგრულ ენას"** (მ. ძაძამია და ც. ძაძამია, ენის წარმოშობის საიდუმლოებანი, გვ. 140).

საინტერესოა, რომ უმდიდრეს ინგლისურ ენაში 600 ათასზე მეტი სიტყვაა, ჩინურ დამწერლობაში 40 ათასზე მეტი სიმბოლოა, არაბულ ენაში 28 ასოა, ჰავაის ანბანში 12 ასოა, აფრიკის კონტინენტზე ათასზე მეტ ენაზე საუბრობენ, რომ ხელოვნური საერთაშორისო ენა ესპერანტო 1887 წელს ვარშაველმა ექიმმა ზამენგოფმა შექმნა.

აღსანიშნავია: თურმე კორეელებს ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ჰქონიათ დამწერლობა, მაშინ, როდესაც დედამიწის უდიდესი ნაწილი პირველყოფილ წყობილებაში იყო. თანამედროვე კორეული ანბანი დაკანონდა 1444 წელს. კორეელი მეცნიერების მტკიცებით, თანამედროვე ანბანს წინ უსწრებდა დამწერლობა.

უძველესი დამწერლობა **"სინჯი"** ნახსენებია სამ უძველეს ისტორიულ მატიანეში, რომელიც ნაპოვნია სოფელ სინამნისთან (ფხენიან-პუქტოს პროვინცია) არქეოლოგიური გათხრების დროს.

სხვა ქვეყნის მეცნიერები კორეელთა ამ განცხადებას სკეპტიკურად უყურებენ: თუ ხუთი ათასი წლის წინათ ჰქონდათ დამწერლობა, მაშინ თავიანთი ანბანის შექმნამდე – 1444 წლამდე, რატომ სარგებლობდნენ ჩინური იეროგლიფებით (გაზ. **"საქართველოს რესპუბლიკა"**, 2006 წლის 7 ივლისი, №130).

მექსიკაში აღმოაჩინეს 3 ათასი წლის წინანდელი, 12-კილოგრამიანი წონის და ნოუთბუკის ზომის ქვის ფილა, რომელზეც ამოტვიფრულია 62 იეროგლიფი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ოლმეკებს უძველესი ცივილიზაციის დამწერლობა ჰქონიათ. მეცნიერებმა ჯერჯერობით ტექსტი ვერ გაშიფრეს, მაგრამ ფიქრობენ, მალე დაადგენენ, რა უნდოდა სამყაროსთვის ეთქვა უცნობ ოლმეკელ პოეტს – ვარაუდობენ, იეროგლიფი ლექსი უნდა იყოს, შესაძლებელია რელიგიური ან ლირიკული ხასიათის.

ჩვენი სამყაროს არსებობისათვის – ასაკისათვის, ზოგიერთი, დაახლოებით სამ მილიონ წელს ანგარიშობს. სხვები ამბობენ: ადამიანის ევოლუცია 17 მილიონი წელი გრძელდებოდაო. რადგან ამ საკითხს შევეხეთ, იმასაც ვიტყვით, რომ მეცნიერებს აქამდე ეგონათ: ადამიანი გონიერი გახდა – ინტელექტის განვითარება ადამიანის მსგავსი ქალის მქონე არსებისაგან დაიწყო 40 მილიონი წლის წინათ – ასე იყო ნავარაუდევი, მაგრამ ეგვიპტეში ნილოსის მახლობლად აღმოჩენილი **"ეგვიპტოპის"** (ასე უწოდეს ადამიანის მსგავს არსებას) გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს მოხდა 29 მილიონი წლის წინათ.

ფრანგ მეცნიერთა გამოანგარიშებით კაცობრიობა არა მარტო 3 მილიონი წლისაა, არამედ ტუბერკულოზის ბაცილები დედამიწაზე 3 მილიონი წელია ცოცხლობენ. ეს ციფრი გაცილებით დიდია წინა ციფრთან შედარებით, რომლის მიხედვით ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ 35 ათასი წლის წინათ გაჩნდა ნებისმიერი სახის ბაქტერიები. მეცნიერებმა ისიც დაამტკიცეს, რომ ჩვენი პლანეტა თანდათან, ყოველ 100 წელიწადში 0,2 წამით ანელებს ბრუნვას თავისი ღერძის გარშემო. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო დღე უფრო მოკლეა, ვიდრე გასული, მაგრამ მეცნიერებამ ვერ თქვა, თუ როდის გაჩერდება დედამიწა. ამ პერიოდიდან ადამიანმა განვლო გზა შიმპანზედან გამოქვაბულის ადამიანამდე, ჰომოერექტუსიდან ჰომოსაპიენსამდე. სულ დედამიწაზე დაბადებულია 106 მილიარდი ადამიანი.

ისიც დადგინდა, რომ ადამიანმა პირველად 72 ათასი წლის წინათ ჩაიცვა ტანისამოსი. მეცნიერებმა იცოდნენ, რომ ტანსაცმლის ყველაზე ძველი ნიმუში ეგვიპტეში იყო აღმოჩენილი, რომელიც მეხუთე ათასწლეულით თარიღდებოდა, მაგრამ მისი **"ზუსტი"** თარიღი აქამდე არ იყო დადგენილი.

ასევე, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში პალეობოტანიკოსებმა დედამიწაზე პირველი ხის სურათი აღადგინეს. **"პირველი ხეები გაჩნდნენ დაახლოებით 140 მილიონი წლის წინათ, დინოზავრების გაჩენამდე ეს პირველი "რევოლუცია" იყო ჩვენს პლანეტაზე. ხეებმა შექმნეს გარემო სხვა ცნობილი არსებებისათვის. ამ ხეების დამსახურებაა, რომ დედამიწაზე ტემპერატურამ დაიწია და სიცოცხლის თანამედროვე ფორმების გაჩენას დაუდო სათავე".**

საინტერესოა ისრაელში კარმელის მთის სხეულის გამოქვაბულში აღმოჩენილი ორი უძველესი ნიჟარა-მძივი. დაადგინეს, რომ ისინი 100 ათასი წლისაა – ასი ათასი წელი იდო გრუნტში. ალჟირში აღმოჩენილი კიდევ ერთი ნიჟარა ასევე დაახლოებით 90 ათასი წლისაა (ასაკი). ადრე მეცნიერების მიერ ნაპოვნი სამკაულების ასაკი 70 ათას წელს აღემატებოდა.

ასევე სამხრეთ ეგვიპტეში უძველესი ნახატები აღმოაჩინეს. ექსპერტთა აზრით, ეს აღმოჩენა დაახლოებით 15 ათასი წლისაა.

მეცნიერები **"კატეგორიულად"** ამტკიცებენ, რომ კაცობრიობა აფრიკაში ჩაისახა.

მეცნიერები იმასაც აცხადებენ, რომ მაიას ტომებმა მოსალოდნელი აპოკალიფსის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინათ იცოდნენ. მათი კალენდრის მიხედვით მასშტაბური კატასტროფა 2012 წელს უნდა მოხდეს. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ადამიანები კატასტროფებს საკუთარი ხელით ქმნიან, ანუ ძალიან ვითარდებიან და პლანეტას ამ განვითარების გაძლება არ შეუძლია. ასე მოხდა სხვადასხვა საუკუნეებში, როცა მრავალი ცივილიზაცია განადგურდა და შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო, ანუ ადამიანები კი არ დაიღუპებიან, არამედ ისინი პროგრესს გააჩერებენ.

* * *

2002 წლის 10-11 მაისს ქ. ქუთაისში გაიმართა ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი. როგორც ჩანს, შეკრების ორგანიზატორი იყო ქუთაისის დიალექტოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი ტ. ფუტკარაძე. მასალები **"ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი, მემორანდუმი"** გამოქვეყნდა გაზეთ **"ქუჯში"**. თუმცა, სიმპოზიუმის მონაწილე, თითქმის 200 კაციდან, მხოლოდ 20-მდე პიროვნება დათანხმებულა **"ასეთი"** მემორანდუმის გამოქვეყნებას, მაგრამ ე.წ. მემორანდუმს არავინ აწერს ხელს – შეინიღბენ. **"მემორანდუმში"** ნათქვამია, რომ არასდროს არსებულან და არც ამჟამად არსებობენ ცალკეული ქართველური ენები: მეგრულ-ჭანური და სვანური, რომ ისინი არიან ერთადერთი ქართველური ენის დიალექტები, ისეთი, როგორიცაა: კახური, ტაოური, ჯავახური, ფხოური, ლივანური და სხვანი. თუ ვინმეს გაუგია **"კახური ენა", "გურული ენა, "ჯავახური ენა"** და ა.შ. ასევე აცხადებენ, რომ მეგრულის, ჭანურისა და სვანურის ცალკე ენებად გამოცხადება ხელს უშლის ქართველთა ერთიანობას და ასეთი რამ არ უნდა დავუშვათ.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველურ ენებს საფრთხე არ შეუქმნია ქართველი ხალხის ერთიანობისათვის და ახლა რა გზით შეუშლის ხელს საქართველოს მთლიანობას?

ცნობილია, ამ საქმეში განსაკუთრებულად აქტიურობენ პროფესორები ტარიელ ფუტკარაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე, რეზო შეროზია (მათ მომხრეებიც ჰყავთ), რომლებსაც დაღლა არ ეტყობათ სამეგრელოს, განსაკუთრებით მეგრული ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ზოგჯერ არ ერიდებიან ციტატის არასწორად გადმოცემას, ცნობილ მეცნიერთა აზრის დამახინჯებას. პროფ. ტ. ფუტკარაძე ძალიან შორს წავიდა: მეგრელებმა უნდა აღიარონ, რომ მეგრული ენა არ არის, ანდა აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან; საქართველოს მთავრობა, რომელიც ცნობს მეგრულს და სვანურს ცალკე ენებად და აღიარებს ევროსაბჭოს ქარტიას, ანტიეროვნულია.

ტ. ფუტკარაძის ამ ერთგვარ ულტიმატუმში, სამწუხაროდ, სისხლისსამართლებრივი დანაშაულიც არის (თუმცა არავინ აპირებს მის პასუხისგებაში მიცემას). სამეგრელოსა და სვანეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მეგრული და სვანური ენების წინაარმდეგ ბრძოლა, როგორც აღინიშნა, საქართველოს და ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლაც არის. ეს აქსიომაა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, **თსუ** ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, ტ. ფუტკარაძის **"ეგიდით"**, 2007 წლის 22-25 ოქტომბერს ატარებს საერთაშორისო კავკასიოლოგურ სიმპოზიუმს, რომელიც, უთუოდ, მიმართული იქნება მეგრული და სვანური ენების წინააღმდეგ **"გენერალური"** შეტევისათვის, თუ ამას ხელი არ შეუშალა იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ პერიოდში ტ. ფუტკარაძისა და თ. გვანცელაძის არა მარტო სამეცნიერო საქმიანობამ, არამედ მათმა ეთიკურმა და მორალურმა ქმედებამ, ქართულ საზოგადოებრივ აზრში აშკარა გაუგებრობა და წინააღმდეგობა გამოიწვია. ბატონ ტარიელს **"სრული უფლება აქვს"** არ უყვარდეს სამეგრელო და სვანეთი, მეგრული და სვანური ენები, მაგრამ, ვფიქრობ, უფლება არ აქვს, ამისკენ სხვებსაც მოუწოდოს, პროპაგანდა გასწიოს.

ტ. ფუტკარაძისეული "ქუთაისური საუბრებისათვის" – ქართველოლოგთა სიმპოზიუმის ე.წ. მემორანდუმისათვის, ქართველ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მას მაშინვე შესაფერისი პასუხი გასცა პროფესორმა მამანტი ძაძამიამ. მაგრამ ტ. ფუტკარაძემ, თ. გვანცელაძემ და კიდევ ორიოდ პიროვნებამ ეს **"ბრძოლა"** არ შეწყვიტეს და ჩანს, არც აპირებენ. ბოლო პერიოდში ტ. ფუტკარაძეს და თ. გვანცელაძეს მეცნიერულად დასაბუთებული, ღრმა შინაარსიანი, ლაკონური პასუხი გასცა დავით რაფავამ.

მეგრულ-სვანური ენების წინააღმდეგ მუხლჩაუხრელად მებრძოლი ტ. ფუტკარაძე და თ. გვანცელაძე, გამოსცემენ წიგნებს, ბროშურებს, ყოველწლიურ ჟურნალსაც **"ქართველური მემკვიდრეობა"**, ყოველ გზაჯვარედინზე არიგებენ ვრცელ ინტერვიუებს და, როდესაც საქმეში ჩახედული ჟურნალისტები **"მძიმე"**, მათთვის არასასურველ კითხვებს დაუსვამენ, მაშინათვე პასუხობენ: **"აქ პოლიტიკური მიზნებია მთავარი და არა მეცნიერული დისკუსიაო"**. თ. გვანცელაძეს გულიკო ბალაძე ეკითხება: **"ბატონო თეიმურაზ, რატომ დადგა ეჭვქვეშ, რომ მეგრული, ლაზური და სვანური იგივე ქართულია და რატომ წამოიწყო ეს დისკუსია?"** აქ ჭკვიანმა ჟურნალისტმა, ფაქტობრივად, კითხვას თვითონვე გასცა პასუხი. მაგრამ თეიმურაზსაც აქვს მომზადებული პასუხი: მეგრული ენად იანოვსკიმ და თადა აშორდიამ გამოაცხადესო (დავით რაფავა, ღმერთს ყველა ენა ესმის, ჟურნალი **"აია"**, 2007 წელი, №116).

თქვენ, ბატონო ენათმეცნიერებო, უკან არ იხევთ, მტკიცედ და მყარად ებრძვით მეგრულ და სვანურ ენებს და რომ შეგეძლოთ, ხმლის ერთი მოქნევით **"მოსჭრით თავს"**.

ბატონო თეიმურაზ! თქვენ რომ ყოფილიყავით საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ისეთ **"ენათმეცნიერულ "ხერხს"** მოიგონებდით, რომ მეგრელებსა და სვანებს საკუთარ ოჯახში და მეზობლებთან საკუთარ ენაზე ლაპარაკი **"აეკრძალებოდათ"**.

პატივცემულო თეიმურაზ! გ. ბალაძესთან საუბარში, და საერთოდ, ტყეილუბრალოდ, უსაფუძვლოდ ებრძვით საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, კარგ მეცნიერს, ქალბატონ ლალი ეზუგბაიას და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელს, მეცნიერებათა დოქტორს ბატონ კახა გაბუნიას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„Да пошли все они...“

მისტრალი ქარია, რომელიც ჩრდილოეთიდან უბერავს

ქაჩლის თავის მოფხანის მონდომებით რუსთაველის პროსპექტზე ამ შემოდგომაზე დაკიდებული ილუმინაციის ხაბარდა ჭაღები ისე მოუხდა ქალაქს, როგორც მამალ სახედარს ცირკის ცხენის ჭრელა-ჭრელა პომპონები.

– ალეეე,ჰოპ! – გიტყლაშუნებს მწვრთნელის მათრახი და გასხვისებული შენობების ფასადებს უკანა ფეხებზე შემდგარი ძაღლებივით აეკვრება დათაფლული ბანერები, ციკლიდან **„მე მიყვარს თბილისი“**: მიყვარს ბითუმად და ცალობით – ცალკე რიყე, ცალკე – ნაძალადევი და, რა თქმა უნდა, – ავლაბარი უპირველესად!

თაფლი არის – მოფრინდა ბუზების ურდო და, როგორც ზაფხულში **„მუხომორს“,** შავ ასოებად დაეწება და ლოზუნგებად დაეწერა დეკორირებულ თბილისს: **„დაპირებები სრულდება“, „საქართველო კორუფციის გარეშე“** და სხვა ამგვარი ბითურობა.

– პარად, ალეე!

და ცირკის ნახერხმოყრილ არენაზე გამოვარდებიან მასხარები წითელი ცხვირებით, ჟონგლიორები, ოინბაზები და ილუზიონისტები – ფერიცვალების დიდოსტატები.

მწყობრ რიგებად მოაბიჯებენ ხელისუფლების ერთგული მსახურნი – ლუსტრირებულნი და საამისოდ გამზადებულები, გაშიშვლებულნი ანუ რაც მათგან დარჩა **„სიმართლის დროში“** მონაწილეობის შემდეგ: პედერასტები, ლესბოსელები... ამაყად მოდიან ტრადიციული ორიენტაციის დაძლევის პროგრესული მოძრაობის მარჯვენაფლანგელები, ასპროცენტიანი ელექტორატი – მიეცი და მოგეცემა! ცირკში ვართ და **„არა გვშია, არა გვინდა რა!“**

ჩვენი ამ ბედნიერი ყოფის შესახებ ლეგენდების გასავრცელებლად საქართველოსკენ მოისწრაფის ჩრდილოეთის მისტრალი, **„ეხო მოსკოს“** წითელთმიანი ფერია იულია ლატინინა. მოჰქრის ჩრდილოეთის ეს ცივი ქარაშოტი და **что ты, что ты**-ს რითმებით აწყობს სტანსების სტროფებს საქართველოს ხელისუფლების სადიდებლად.

„ჟურნალისტი და მწერალი“ იტყობინება მის შესახებ **„ეხო მოსკვის“** ინტერნეტ-პორტალი.

სწორედ ამ პორტალიდან, აგრეთვე, ტელეეკრანიდან და რადიოეთერით ნიაგარის ჩანჩქერის წყალუხვობით გადმოღვრება მისი ნააზრევი და წალეკავს მილიონობით რუსეთელი მაყურებლის აზრსა და გონებას. ჩამოფრინდა საქართველოში.

ადრე ასეთი ვოიაჟების შედეგად შექმნილი და გამოქვეყნებული მასალები იბეჭდებოდა და გადაიცემოდა რუბრიკით **„ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა“.**

ახლა პირად საქმეზე ჩასვლა ჰქვია. თვითონ ამბობს – პირად საქმეზე ვიყავი ჩასული საქართველოშიო: **„კახა ბენდუქიძის ღია (!) უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს“.**

ღიაა და ღიად ვითამაშოთ: კახა ბენდუქიძის მოწვევით მოვლენილ ჟურნალისტ-ლექტორს დამფინანსებლის მუსიკაზე უნდა ეცეკვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კახა ბენდუქიძის თვალით უნდა დაენახა ის, რაც მასპინძლებმა დაათვალიერებინეს, გაემეორებინა ის შეფასებები, რასაც ეტყოდნენ. რაც უთხრეს.

და ამიტომაა ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიასავით სულისშემძვრელი და ამაღლებულია ლატინინას ანგარიშის პირველივე აკორდები: **„საქართველო ამაღელვებლად (!) რეფორმირებული ქვეყანაა... შემიძლია პატიოსნად ვთქვა, რომ არის ორი ქვეყანა, რომელთა მთავრობებით აღფრთოვანებული ვარ. ეს არის საქართველო და ჩინეთი“.**

წაიკითხავ ამას და კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ სიტყვის თავისუფლების პირობებში პატიოსნება ფრიად პირობითი მცნებაა.

ახლა კი დროა, გავარკვიოთ, თუ რისმა ხილვამ აღაფრთოვანა ქალბატონი მისტრალი, ოღონდ არა გაბრიელა – ბრწყინვალე ჩილიელი პოეტი ქალი, ლატინინა, ოღონდ არა ლარისა – ლეგენდარული საბჭოთა ტანმოვარჯიშე, – **„პროსტო“** იულია, იულია ლატინინა, რომელიც ბენდუქიძის მიერ რეფორმირებული საქართველოს ხილვამ **„დაადნო ღორის ქონივითა“.**

ღორი დღეს მოდაშია, არა მხოლოდ მისი სახელობის გრიპის წყალობით....

ვინ არის ტიტანი საქართველოში?

აღფრთოვანება პირველი: ქვეყანა, სადაც 7 წლის წინათ პანკისს თავშეფარებული მშიერი **„ბოევიკები“** ბავშვებს იტაცებდნენ და გამოსასყიდად ძროხას თხოულობდნენ: **„ქვეყანა, სადაც თბილისში არ იყო არც სინათლე, არც წყალი, არც ასფალტი გზებზე, ეს ქვეყანა შვიდი წლის განმავლობაში – დროის ფანტასტიკურად მოკლე პერიოდში გადაიქცა დასავლეთის ქვეყნად, სადაც მენტები** (ასე უწოდებენ რუსეთში მილიციელებს. – ა.ს.), **უფრო ზუსტად, პოლიცია, რეალურად არ იღებს ქრთამს... ეს არის პოლიცია, რომელიც ეხმარება ადამიანებს, რომელიც იჭერს დამნაშავეებს. ეს გამაოგნებელი შთაბეჭდილებაა.. და ყველაფერ ამის მისაღწევად საჭიროა ტიტანური ენერგია ლიდერის“.**

აი, ასე! ამას უყვება მილიონობით რუსეთელს კერძო თუ პირად საქმეზე საქართველოში ჩამოსული ბენდუქიძის სტუმარი ქალბატონი.

ბენდუქიძის მიერ ლატინისას საქართველოში მოწვევა დაშიფრული კოდის გასაღებია.

ვინ ეტყოდა ქალბატონს, რომ მისი აღფრთოვანების საგანი – ძალოვანი სტრუქტურა ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე, მხოლოდ აგენტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კლავს ახალგაზრდებს ქუჩაში; **„სამხილების“** შედეგებით **„კერავს“** საქმეებს და აპატიმრებს **„არასასურველ“** პირებს; მასობრივი მიტინგების წინაღმდეგ მასობრივ დარბევებს აწყობს; აყალიბებს ხალხზე დაგეშილ ზონდერბრიგადებს, რომ არჩევნების გაყალბებაში მისი ნაქები სტრუქტურა პირველი ვიოლინოს როლს თამაშობს და ა.შ.?

წესრიგია ქუჩებში? არის. შეწყდა მანქანების ქურდობა? შეწყდა. მაგრამ რომელ ტოტალიტარულ სახელმწიფოშია სხვაგვარად? მით უფრო, – პოლიციურში? და როდიდან გახდა ეს მახასიათებლები დემოკრატიის მაჩვენებელი?

ვინ მოუყვება სპეცდავალებით ჩამოყვანილ **„ჟურნალისტსა და მწერალს“,** რომელიც, ჩამოვიდა თუ არა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში წაიყვანეს **(„Приезжаю я в страну, отвозят меня в новое здание МВД“)**, რომ საყოველთაო თვალთვალი და მიყურადება ჩვენთან დამკვიდრებული წესია, ახლა ამას ჩხრეკაც დაემატა – ვისაც ვისი და როცა მოესურვება.

საქართველოში ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება გაუქმებულია. სასწაულია! მაგრამ ამ სასწაულის შედეგად, სად და რომელ ხრამში გადაიჩეხა (როგორც ამ ზაფხულს **„პატრიოტების“** ბანაკში მიმავალი ავტობუსი) ან გადაიჩეხება (ღმერთმა დაგვიფაროს!) მეორადი მოხმარების გაცვეთილი ავტომობილი, არავინ უწყის. ამას არავინ ეტყოდა ლატინინას.

ამიტომაცაა აღფრთოვანებული.

ვერ გეტყვით, მისი ამაღლებული განწყობილების მიზეზი რომელი უფროა – რეფორმირებული პოლიცია, პოლიციის შუშის შენობები თუ **„ლიდერის ტიტანური ენერგია“**, თუ ყველაფერი ერთად? მით უფრო, რომ **არ აზუსტებს, ვის უნდა ვუმადლოდეთ ყოველივე ამას, ვინაა ეს ლიდერი – ვანო მერაბიშვილი თუ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი?**

ან, იქნებ, ბენდუქიძე?

დავტოვოთ ეს შეკითხვა უპასუხოდ და გადავიდეთ აღფრთოვანების მომდევნო წყაროზე, რაიც აგვისტოს ომის შედეგად ლტოლვილების ახალ, 30-ათასიან ტალღას შეეხება. ყველანი დაბინავებულები არიანო, უკვირს და უხარია ლატინინას. განსაკუთრებით, 1.200 სახლიანი ახალი სოფლის ხილვით აღფრთოვანებულა და ქებათა-ქების სიტყვებს არ იშურებს ხელისუფლების მიმართ, რომელმაც უკარმიდამო სახლები აუშენა მშობლიურ კუთხედაკარგულ ადამიანებს.

უცხოეთის დახმარების ხარჯით.

და კრინტსაც არ ძრავს იმ მიზეზთა კომპლექსზე, რამაც ეს ტრაგედია გამოიწვია და ამ ქოხმახების მშენებლობა გახადა აუცილებელი.

არც არავის უთქვამს.

სამაგიეროდ წაიყვანეს სიღნაღში და რაზეც იქ დაელაპარაკებოდნენ, თქვენთვის ახალი არ იქნება. მაგრამ მოულოდნელი ის დასკვნაა, რომელსაც ლატინინა ამ პოტიომკინის სოფლის მოხილვის შედეგად აკეთებს. **ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲚᲘᲡᲣᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ: ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲫᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ».**

ესე იგი რა?

ის, რომ,

პირველი: საქართველოში კორუფცია მაინც ყოფილა. არადა, იმავე პუბლიკაციაში ავტორი ეკამათება ირაკლი ალასანიას და ცუდად დაფარული ირონიით ცდილობს გაუბითუროს შეფასება, რომ საქართველოში კორუფცია არის, მაგრამ ელიტარულად ტრანსფორმირებული.

მეორე. რა ჯანდაბად გვინდა ევროკავშირი, თუ იქ კორუფციის დონე ჩვენსაზე ორჯერ მაღალია?!

ესეც – საქართველოა უკეთესი თუ ევროკავშირი, ლატინინას განსჯისა და კიდევ ერთი არც მთლად მიამიტური აღფრთოვანების საგანია.

ᲐᲛᲐᲡ ᲟᲘᲠᲘᲜᲝᲕᲡᲙᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲙᲐᲓᲠᲔᲑᲓᲐ

უსმენ ამ ქალბატონს და გემცნობა – მისი მსჯელობის მიმარულებაც, დასკვნებიც და ფაქტებიც – სადღაც უკვე მოგისმენია.

დიდი დაფიქრება არაა საჭირო, რომ მიხვდე – ეს ყველაფერი ელემენტარული პლაგიატია მიხეილ სააკაშვილის რომელიღაც სატელევიზიო გამოსვლის ან პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშისა, ან გადამღერებაა ორივესი ერთად.

ამ დასკვნამდე მივყავართ თავად ავტორს, რომელიც შესაშური სიზუსტით იმეორებს მიხეილ სააკაშვილის არგუმენტებს, რომლებიც მან **„გააჟღერა“** 200-ათასიანი მიტინგის მონაწილეთა საპროტესტო მოტივაციის ასახსნელად: **ესენიო, – განაცხადა პრეზიდენტმა, – არიან რეფორმებით, კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლით უკმაყოფილო ადამიანები – ან უმუშევრად დარჩენილები, ან დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები და ნათესავ-მეგობრები.** ოპოზიციის მხილების მაგალითებიც ათასჯერ მოსმენილი და ტელეგაპიარებულია.

ახლა კი, არ დაიზაროთ და თუ უკვე არ დაიღალეთ იულია ლატინინა-მისტრალის **„მოგზაურის შთაბეჭდილებებით“**, წაიკითხეთ **„ეხო მოსკვით“** გადაცემული მისი საუბრის დასკვნითი ნაწილი:

„როგორ აისახება ყველა ეს მხილება ოპოზიციის რეიტინგზე? პასუხი – ოპოზიციის რეიტინზე იგი პრაქტიკულად არანაირად არ აისახება, რადგან საქმე ის კი არ არის, რომ ოპოზიცია შეურაცხადია (!), **საქმე ის არის, რომ** ელექტორატი, **რომელსაც იგი ეყრდნობა** არის შეურაცხადი (!). **ეს არის საბჭოთა ელექტორატი. საქართველოში 800 ათასი პენსიონერია, ვისაც 50-ლარიან პენსიას უხდიან. საქართველოში 75 ათასი პოლიციელია, რომლებიც სამსახურიდან გააგდეს.**

როცა ახლადდანიშნულ ეკონომიკის მინისტრთან კახა ბენდუქიძესთან ევროკავშირის კომისრები მივიდნენ, კახამ უთხრა: „ათას ხუთას ადამანს ვათავისუფლებ სამინისტროდან“. კომისარი ქალი ეკითხება: „როგორ აპირებთ ამ ადამიანების შრომით მოწყობას?“ „А пусть идут на хрен!“ – უპასუხებს ბენდუქიძე (ლატინინა-მისტრალს აშკარად მოსწონს ბენდუქიძის **„ბლატაობა“,** მისი ქედმაღლური დამოკიდებულება ქართველი ადამიანების ბედისადმი. კახასავით იულიასაც ფეხებზე ჰკიდია ჩვენი ხალხი. – ა.ს.). ქალიშვილი ატირდა.

ეს ათას ხუთასი, სხვა ათას ხუთასი კიდევ და კიდევ ათას ხუთასი – ყველა ისინი ქუჩაში აღმოჩნდნენ, ყველანი ძალიან გაბრაზებულია სააკაშვილზე. ყველას არ შეუძლია ვერბალიზაცია თავიანთი პრეტენზიებით. მათ შეუძლიათ თქვან: „ჩვენ ძველებურად გვინდა ცხოვრება. ჩვენ გვინდა, რომ იღებდნენ ქრთამს. ჩვენ გვინდა, რომ თბილისში არ იყოს სინათლე, რომ თბილისში არ იყოს წყალი“.

ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკისაც არ უკადრებია ქართველების ასეთი შეურაცხყოფა! როგორი უნდა იყოს დაფინანსების ოდენობა, შეურაცხადი რომ გაგხადოს და გაგაბედინოს სხვა ერის ასეთი შეურაცხყოფა, რადგან სპონსორს ასე სურს?

ან, ეგებ, სისხლში გაქვს შოვინიზმის ბაცილა, რომელიც ღორის გრიპივით მთელ შენს სხეულსაა მოდებული?

ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, აგაღოღდება და ასეთ რამესაც გაკადრებს:

„ქართული ოპოზიცია, რაგინდ პარადოქსულადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, ქართველ ერზე ამბობს იგივეს, რასაც რუსეთის ხელისუფლება რუს ერზე ლაპარაკობს. ქართული ოპოზიცია ამბობს, რომ ქართველ ერს ახასიათებს მექრთამეობა, ახასიათებს ნეხვში (!) ცხოვრება“.

მე არ გამიგონია. თქვენ?

ოღონდ ხელისუფლება დაიცვან და სხვა ყველა ჩაძირონ, ასეთ შეურაცხყოფასაც არ ერიდებიან ნაყიდი ჟურნალისტები. ეს საერთოდ.

ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთი სიბილწის მოსმენის შემდეგ დიდი სურვილი მებადება კახა ბენდუქიძეს დავესესხო!

„Да пошли все они на хрен!“

არმაზ სანებლიძე

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "ბენფიკა" ლისაბონი, პორტუგალია,

საფეხბურთო კლუბი დაარსებულია 1904 წელს,

ლისაბონის სტადიონი **"ესტადიო დე ბენფიკა/ და ლუში"**,

92.385 მაყურებელი,

გახდა **პორტუგალიის 30-გზის ჩემპიონი**,

26-ჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს,

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა 1961 და 1962 წლებში.

მთელმა მსოფლიოს სპორტულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად უწყის, რომ ლისაბონის **"ბენფიკა"** არ გახლავთ უბრალო საფეხბურთო კლუბი. უფრო სამართლიანი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა პორტუგალიის უდიდესი და უძლიერესი ნაციონალური სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც ლისაბონში გააჩნია ვეებერთელა სტადიონი და სხვა სპორტული კომპლექსები, სადაც ინტენსიურ წვრთნებს გადიან როგორც ფეხბურთელები, ასევე სხვა სპორტის წარმომადგენლები. ამ ორგანიზაციაში თითქმის 122.000 იურიდიული და კერძო პირია გაწევრიანებული და იგი ქვეყნის საბაზისო სპორტულ სტრუქტურას წარმოადგენს. ხოლო მომავალი რეკონსტრუქციის შემდეგ სტადიონი რამდენადმე გადიდდება.

ამ მეტად შთამბეჭდავი საფეხბურთო ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და ჩამომყალიბებელი გახლავთ პორტუგალიელი მილიონერი და სპორტის დიდი ფანატი **კოსმე დემიანო**, რომელმაც 1904 წელს საკუთარი სახსრებით ჩაატარა პორტუგალიაში პირველი საფეხბურთო მატჩი, ლისაბონის განაპირას მდებარე უკაცრიელ ადგილზე. ამ მატჩის ჩატარებიდან მეორე დღეს მან თავისთან იხმო პირველი საფეხბურთო შეჯიბრის მონაწილეები და მათთან ერთად დააფუძნა საფეხბურთო კლუბი **"სპორტ ლისაბოა"**, რომელიც რამდენიმე ხნის (სავარაუდოდ – 2 წლის) შემდეგ შეერწყა მეზობლად მდებარე **"სპორტკლუბ დე ბენფიკა"**-ს. საყურადღებოა, რომ პირველი სპორტული ტროფეი ამ კლუბმა მოიპოვა არა ფეხბურთში, არამედ ველოსპორტში. მაგრამ 1920-იან წლებში, როცა პორტუგალიაში დამკვიდრდა ერთიანი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემა, ლისაბონის **"ბენფიკა"** პირველივე სეზონიდან იქცა პორტუგალიური ფეხბურთის უპირობო ლიდერად. ამის შემდეგ კლუბმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც და პირველ წარმატებას მიაღწია 1950 წელს, როცა მოიგო პრესტიჟული ლათინური თასი (ეს საკლუბო ტურნირი წინ უსწრებდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას და იგივე სისტემით ტარდებოდა).

1954 წელს დიდი გარდატეხა მოხდა პორტუგალიურ ფეხბურთში, რომლებიც ყველაფერში თავიანთ დიდ მეზობლებს – ესპანელებს ბაძავდნენ. სწორედ ესპანელთა შთაგონების შედეგი გახლდათ ის, რომ ლისაბონში რამდენიმე წელიწადში აშენდა ახალი გიგანტური სტადიონი. ეს კი მეტად შთამბეჭდავი იმპულსი გახდა პორტუგალიური ფეხბურთისათვის. ამ დროს პორტუგალიურ საფეხბურთო გუნდს მთავარ მწვრთნელად დაუნიშნეს ფეხბურთის შესანიშნავი სპეციალისტი, უნგრეთიდან ემიგრირებული ბელა გუტმანი. სწორედ მისი დამსახურება გახლავთ ის ამბავი, რომ ახალ სტადიონზე გადაბარგებულმა **"ბენფიკამ"** ორჯერ ზედიზედ – 1961 და 1962 წლებში მოიპოვა ევროპის ყველაზე პოპულარული პრიზი – ჩემპიონთა თასი. ეს გახლდათ პორტუგალიური ფეხბურთის დიდების ზენიტი. **"ბენფიკამ"** ჯერ დრამატიზმით აღსავსე დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში სძლია კატალონიის **"ბარსელონას"** ანგარიშით 3:2, შემდგომ სეზონში კი ამსტერდამის სტადიონზე ასევე დაძაბულ მატჩში დაამარცხა მადრიდის **"რეალი"** ანგარიშით 5:3. ორივე შემთხვევაში პორტუგალიელთა გუნდის კაპიტანი გახლდათ ვეტერანი ცენტრფორვარდი ჟოზე აგუაში.

სწორედ **"ბენფიკას"** რიგებში ჩამოყალიბდა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად პორტუგალიის ყველა დროის შეუდარებელი სპორტსმენი, **"შავ პანტერად"** წოდებული ეუსებიო, რომელიც აშკარად წარმოადგენდა მსოფლიო ფეხბურთის მშვენებას. მისი სახელი მაშინ თვით ლეგენდარულმა ბრაზილიელმა პელემაც კი ვერ დაჩრდილა, რომელიც ფეხბურთის ჭეშმარიტი მეფე გახლდათ. ეუსებიო ანგოლისა და მოზამბიკის საკუთარ კოლონიურ ჯუნგლებში აღმოაჩინა ლისაბონის **"ბენფიკის"** ხელმძღვანელობამ, რითაც დიდი საჩუქარი გაუკეთა მსოფლიოს ფეხბურთის სამყაროს. ლისაბონის **"ბენფიკა"** ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ მის რიგებში განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდნენ მხოლოდ პორტუგალიელი (რა თქმა უნდა, პორტუგალიის კოლონიების ჩათვლით) ფეხბურთელები აუგუსტო, კოლუნა და სხვები.

1975 წელს, როცა მთელ მსოფლიოში საბოლოოდ გაუქმდა კოლონიური სისტემა, პორტუგალიურ ფეხბურთს მაინც არ დაუკარგავს ძველებური ელვარება, რადგან ახლა ამ კლუბის რიგები სისტემატურად ივსება ლეგიონერებით ბრაზილიიდან, დანიიდან, ევროპის სლავური სამყაროდან და სხვა ქვეყნებიდან.

სწორედ ამ ფეხბურთელთა წყალობით რჩება ლისაბონის **"ბენფიკა"** მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე და ეჭვი არავის ეპარება, რომ იგი მომავალშიც არაერთი გამარჯვებით გაახარებს არა მხოლოდ პორტუგალიელ გულშემატკივრებს.

გიორგი ჯალადანია

იუმორი

* * *

ქმარი მივლინებიდან ბრუნდება. საძინებელში ხედავს ცოლი და თავისი ძმაკაცი ერთ ამბავში არიან... იღებს პისტოლეტს და ესვრის ძმაკაცს.

ცოლი გრაციოზულად დგება, მიდის სარკესთან, იღებს პომადას და ასევე გრაციოზულად იცვამს, თან მსუბუქი ამოსუნთქვით ეუბნება ქმარს:

– ძვირფასო, შენ ასე, თანდათან, ყველა მეგობარს დაკარგავ...

* * *

კრივში ორი ახალი წესი შემოვიდა: დარბაზის დახმარება და ზარი ახლობელთან.

* * *

ამბობენ, შენი გოგო ძალიან მახინჯიაო... გასაგებია, რომ ძალიან გიყვარს, მაგრამ ჩვენ დროში პლასტიკური ოპერაცია შეიძლება...

– მივიყვანე პლასტიკურ ქირურგთან, მაგრამ მითხრა, კუდის მიკერება გაცილებით ადვილიაო...

* * *

საელჩოში:

– თქვენი სახელი და გვარი...

– თუ ვიზას არ ჩამირტყავთ – ანა კარენინა...

* * *

ცირკში ყველაზე დამჯერი დათვები შაქრიანი დიაბეტით დაიხოცნენ.

მეგობრები გვილოცავენ

გაზეთ **„ილორის“** რედაქციას და **„ილორელებს“** – ჩვენო ძვირფასებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ ახალ 2010 წელს!

მართალია იგი მხოლოდ „კალენდრის“ უქმე დღეა და სულიერებასთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ მოდის ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც სულსაც გაგვინათებს სხეულთან ერთად!

ამ დღეს **„ალილოსაც“** შემოვძახებთ და **„კირიალესასაც“**, მეკვლესაც დაველოდებით და თოვლის ბაბუასაც!..

მთავარია ჰომოსექსუალი **„სანტაკლაუსი“** არ შემოგვეპაროს ოჯახში, ასევე მსუბუქი ყოფაქცევის **„სნეგუროჩკასთან“** ერთად,

მეგობრები გვილოცავენ

საახალწლო ვიდეოკლიპში ცხვირწინ რომ გვიტრიალებენ და გულმოდგინედ გვტენის ქვეყნის გადაგვარებული პრეზიდენტი და მისი მთავრობა!..

კიდევ ერთხელ - ყველაფერ საუკეთესოს და ბოლომდი ქართველებად დარჩენას გისურვებთ!

დავით მარიამიძე

ვაალსი, ჰოლანდია

P.S. საგანგებოდ გიხდით მადლობას **„ილორის“** ელექტრონული ვერსიის რეგულარულად მოწოდებისათვის!

ვაზის საოცარი ჯიში

ფირმა "გამწვანება" კრწანისი გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, და რაც მთავარია, ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, რთვლობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარგა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

ტელ. 72-05-06.

მის. – თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
"საქართველო და მსოფლიო"!

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალადანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de **რეკლამის განთავსება** **899-57-33-22** **893-51-01-71** **899-34-37-27**